ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲔᲚᲘ ● № 297 (14293)

22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ
1968
ფასი 2 კაპ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲫᲐᲠᲦᲕᲘ

Დ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ელექტროენერგია სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს ყოფაცხოვრებაში. უმისოდ დღეს წარმოუდგენელია ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება. იგი მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების მთავარ მასაზრდოებელ ძარღვს წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულია ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები, მძლავრ ელექტროსადგურებში რომ იბადებიან. თანდათანობით ხორციელდება დიდი ლენინის ანდერძი მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ, რომელმაც კომუნიზმზე უნდა მიიყვანოს ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

საბჭოთა ხალხის შრომითი გამარჯვებების შესანიშნავი ციფრები გაგვაცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის ისტორიულმა დოკუმენტებმა. ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქცია 1966-68 წლებში 30 პროცენტით გაიზარდა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს ჩვენს ენერგეტიკას. ახორციელებენ რა ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის ლენინურ გეგმას, ჩვენი ენერგეტიკოსები დღითი დღე სულ უფრო აძლიერებენ შრომის ტემპს, წლიდან წლამდე ზრდიან ელექტროენერგიის გამომუშავებას. მარტო 1968 წლის ცხრა თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება 35 მილიარდი კილოვატ-საათით გაიზარდა. ეს ციფრი შემთხვევით როდი დავასახელეთ. ამდენ ელექტროენერგიას მთელი წლის განმავლობაში იღებდა საბჭოთა ქვეყანა 1937 წელს.

ენერგეტიკოსები წარმატებით ასრულებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას. ამ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკოსებმაც, რომლებმაც უკანასკნელ წლებში სწრაფი ტემპით გაზარდეს საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე. დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურების დადგმულმა სიმძლავრემ 1 მილიონ 700 ათას კილოვატს მიაღწია.

1968 წლის ბოლოს გამომუშავებული იქნება 6 მილიარდ 900 მილიონი კილოვატ-საათი, რაც მილიარდ 74 მილიონით მეტია გასულ წელთან შედარებით. 55 ათას კილომეტრზე აიგო ელექტროგადამცემი ხაზები, მათ შორის 5 ათასამდე კილომეტრი 35 კილოვოლტზე მეტი ძაბვისაა. მიმდინარე წლის ბოლომდე საქმთავარენერგოს საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურის მეხუთე ბლოკი, რომლის სიმძლავრე 160 ათასი კილოვატი იქნება. 1968 წლის მარტო ათ თვეში აიგო 272,5 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზი, მათ შორის კავკასიაში პირველი — ენგურჰესთბილისის (ზესტაფონ-გლდანის უბანი) 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, ამოქმედდა 74,1 ათასი კილოვატი სატრანსფორმატორო სიმძლავრენი.

დიდი სამუშაოები განხორციელდა სასოფლო და კომუნალურ ქსელში. აშენდა და რეკონსტრუირებულ იქნა 835 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები, მრავალი სატრანსფორმატორო პუნქტი.

საქმთავარენერგოს ენერგოსისტემა დიდ სამუშაოებს აწარმოებს ენერგოდანადგარების შემდგომი ექსპლოატაციის სრულყოფისათვის: ინერგება ახალი ტექნიკა, ხორციელდება კომპლექსური ავტომატიზაცია, დანადგარები აღიჭურვება ხარელეო დაცვისა და ავტომატიკის სისტემის საშუალებებით.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს თბილისის აკადემიკოს ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, რომლის მუშაკებმაც დაამუშავეს და წარმოებაში დანერგეს მთელი რიგი საჭირო სამეცნიერო გამოკვლევები.

ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ თბილისის განყოფილებამ, რომლის პროექტებითაც არის აგებული საქართველოს ყველა მსხვილი ჰიდროელექტროსადგური, აგრეთვე საზღვარგარეთის ზოგიერთი სადგური, მიმდინარე წელს ძირითადი ყურადღება დაუთმო მშენებარე ენგურჰესის ტექნიკური პროექტისა და საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოთა დასრულებას. ენგურჰესის პარალელურად „თბილჰიდროპროექტის“ კოლექტივმა სამუშაო ნახაზები შეადგინა ლარიძის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურისათვის, მიმდინარე წელს მიმდინარეობდა აგრეთვე ვარციხისა და ნამახვანის (მდ. რიონზე) ჰიდროელექტროსადგურების საპროექტო დავალებების დაზუსტების სამუშაოები. შედგენილია და დასამტკიცებლად უკვე გადაეცა კომპლექსური ობიექტის — ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის (მდ. არაგვზე) საპროექტო დავალება. ამ ელექტროსადგურის აგებით ძირითადად გადაწყდება თბილისის წყლით მომარაგების საკითხი. ამ სადგურის მშენებლობა, როგორც ჩანს, მოკლე ხანში დაიწყება, მიმდინარეობს მდინარეების ცხენისწყლისა და კოდორის გამოყენების სქემათა დამუშავება.

ბევრ სასარგებლო საკითხს ამუშავებს ინსტიტუტ „ენერგოსეტპროექტის“ საქართველოს განყოფილებაც. იგი წელს ციეთი ობიექტების დაპროექტებაზე მუშაობდა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, დამთავრდა და უკვე დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურ-გლდანის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დავალება, მიმდინარეობს მეცნიერული ძიება ორჯონიკიძე-ზესტაფონის 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზისა, რომელიც მამისონის გადასასვლელზე გაივლის.

საგაზეთო წერილი საშუალებას არ გვაძლევს თანმიმდევრულად ჩამოვთვალოთ ყველა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, რომლებიც დიდ სამუშაოებს ასრულებენ რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარებისათვის. მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანის სასარგებლო საქმიანობა. ასე მაგალითად: სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ელელექტროს“ საქართველოს განყოფილება სოფლისათვის ამუშავებს რაიონული და საოფლო მნიშვნელობის ქვესადგურების მშენებლობის დოკუმენტაციას; ინსტიტუტ „ორგენერგოგოსსტროის“ თბილისის ფილიალი სამშენებლო პროექტებით ამარაგებს ენგურჰესს, აგრეთვე აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მშენებარე ობიექტებს; ტრესტი „კავკაზელექტროსეტსტროი“ კავკასიის ფარგლებში ასრულებს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს; ლენინის ორდენოსანი ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ აშენებს თბილისის სახელმწიფო რაიონულ მძლავრ ელექტროსადგურს, 1961 წლიდან კი ტრესტის კოლექტივი ენგურჰესის მშენებელია. აქ მისი ობიექტები ხაიშიდან შავ ზღვამდე გადაჭიმულა. წელიწადში ტრესტის მშენებლები 50 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ. ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად შექმნილია 15 დაბა, 20-მდე სამშენებლო მოედანი და სხვადასხვა ბაზა.

გავა კიდევ ცოტა დრო, და ეს გიგანტი თავის მძლავრ ენერგიას მიაწვდის ჩვენი რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების, ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობას. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, საქართველოს ენერგოსისტემის მუშაკებს, ელექტროსადგურების, ქსელების, სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ენერგეტიკული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს მთელი დატვირთვით მოუხდებათ მუშაობა. მართალია, დასახული ამოცანები დიდია, მაგრამ ამ კოლექტივების წინანდელი და დღევანდელი ნამოღვაწარი საწინდარია იმისა, რომ ჩვენი ენერგეტიკოსები კვლავაც უკეთესად იმუშავებენ.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲕᲐᲮᲢᲐᲖᲔ

დღეს თავიანთ დღესასწაულს აღნიშნავენ სსრ კავშირის ენერგეტიკოსები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს აწვდიან იაფ ელექტროენერგიას. ეს გრანდიოზული ფრონტი დიდ მომარაგებას მოითხოვს. ამიტომ, ახორციელებენ რა ლენინურ ანდერძს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ, ენერგეტიკოსები დღითი დღე ზრდიან ელექტროენერგიის გამომუშავებას. ახლა ყოველწლიურად ჩვენი ქვეყანა 600 მილიარდამდე კილოვატ-საათ ელექტროენერგიას იღებს.

მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. ელექტროენერგიის გამომუშავება 1969 წელს 8 პროცენტით გაიზრდება და 687 მილიარდ კილოვატ-საათს მიაღწევს (დაახლოებით იმდენს, რამდენიც გამომუშავებული იყო 1961-62 წლებში მთლიანად). გაისისათვის მრეწველობა 7 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოება 11,5 პროცენტით მეტ ელექტროენერგიას მიიღებს.

მიმდინარე წლის 11 თვეში ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკოსებმა 548 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია მიაწოდეს სახალხო მეურნეობას და გეგმა გადაჭარბებით — 109 პროცენტით გაანაღდეს.

ამ წარმატებაში საქართველოს ენერგეტიკოსების წვლილიც არის. ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურები, რომელთა დადგმული სიმძლავრე 1 მილიონ 700 ათას კილოვატს აღემატება, წლის ბოლომდე 6 მილიარდ 900 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, რაც მილიარდ 74 მილიონით მეტია გასულ წელთან შედარებით.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეხუთე ბლოკის მართვის ფარი. მარცხნიდან — ბლოკის მორიგე ინჟინერი გ. ფირცხალაიშვილი, მთავარი ინჟინრის მოადგილე ექსპლოატაციის დარგში ზ. მინდელი და ელექტროზეინკალი ა. ვოლკოვი ატარებენ ბლოკის კომპლექსურ შემოწმებას.

ფოტო გ. ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐᲡᲘ.

ᲛᲐᲚᲔ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

◆

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, 21 დეკემბერი. (საქდესი). კარგი შრომითი გამარჯვებით ხვდებიან თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლები, მემონტაჟეები და ექსპლოატაციის მუშაკები თავიანთ დღესასწაულს — ენერგეტიკოსის დღეს.

დაიწყო თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეხუთე ენერგობლოკის კვანძების გამოცდა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. ამ დღეებში ბლოკი მიიღებს სამრეწველო დატვირთვას და ჩაირთვება „საქმთავარენერგოს“ სისტემაში. ბლოკის სიმძლავრე 160 ათასი კილოვატია. სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე გაიზრდება 750 ათას კილოვატამდე.

დაიწყო უკანასკნელი მეექვსე ბლოკის აგების სამუშაოები. მისი ამუშავების შემდეგ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური გამოიმუშავებს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც საქართველოს ყველა ელექტროსადგური.

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ





ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ მთებში ჩქარ მდინარე ვახშს მალე გზას გადაუღობავს ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მსოფლიოში უმაღლესი — 300-მეტრიანი კაშხალი. სწორედ აქაურ მშენებლებს ეჯიბრებიან ენგურჰესელები. ნურეკელმა ჰიდრომშენებლებმა უკვე საძირკველი ჩაუყარეს კაშხალის ძირითადი საყრდენების ნაგებობას. მემონტაჟეთაგან თავი გამოიჩინა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ბ. ტრეგუბოვი ხელმძღვანელობს. აქ ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები.

ᲔᲜᲘᲡᲔᲘᲖᲔ, საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის რაიონში დაიწყეს ზღუდარის აგება. ამ ელექტროსადგურის კაშხალი უნიკალური იქნება. მას სიმაღლე ექნება 236 მეტრი, სიგანე — 860 მეტრი. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ელექტროსადგურის 12 აგრეგატი წელიწადში გამოიმუშავებს დაახლოებით 23 მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგური დიდი სამრეწველო-აგრარული რაიონის ენერგეტიკული ცენტრი იქნება. აქ აშენდება შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტროტექნიკური და მსუბუქი მრეწველობის, ფეროშენადნობთა და მინერალური სასუქების საწარმოები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ნურეკჰესის მშენებლობაზე; ქვემოთ — საიან-შუშენსკოეს ელექტროსადგურის ერთ-ერთი ობიექტი ენისეიზე.

ფოტო ს. ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘᲡᲐ (საქდესის ფოტოქრონიკა) და
ვ. ᲨᲐᲞᲝᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ (ახალი ამბების სააგენტო).

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1968 წლის 20 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-261“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა შეისწავლის დედამიწის ზედა ატმოსფეროსა და პოლარულ ნათებათა ბუნებას.

„მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის“ შესაბამისად დედამიწის ზედა ატმოსფეროსა და პოლარულ ნათებათა ბუნების შესწავლის ექსპერიმენტის მოწყობაში მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ობსერვატორიები.

ამ კომპლექსური ექსპერიმენტის ძირითადი ამოცანა, რომელიც შეიცავს პირდაპირ გაზომვებს თანამგზავრზე და კვლევას დედამიწაზე, არის პოლარული ნათების გამომწვევი გეოაქტიური კორპუსკულების — ელექტრონებისა და პროტონების, ზესითბური ენერგიის ელექტრონების, აგრეთვე პოლარულ ნათებათა დროს ზედა ატმოსფეროს სიმკვრივის ვარიაციების შესწავლა.

თანამგზავრი „კოსმოსი-261“ გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 217 კილომეტრი,
— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 670 კილომეტრი,
— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 93,1 წუთი,
— ორბიტის დახრილობა — 71 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საბჭოთა კავშირის საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი და ერთობლივი ექსპერიმენტის მონაწილე ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციები ამუშავებენ მიღებულ ინფორმაციას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ დელიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი. ინდოეთში ყოფნის დროს იგი განიხილავდა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს. (საქდესი).

20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სავაჭრო დელეგაციათა მოლაპარაკების შედეგად, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში; ხელი მოაწერეს ოქმს 1969 წელს სსრ კავშირისა და ინდოეთის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ. ოქმი ითვალისწინებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის საქონელბრუნვის გადიდებას 15-20 პროცენტით 1968 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი ინდოეთში გაიტანს სხვადასხვა სახეობის მანქანებსა და მოწყობილობას, სამრეწველო ნედლეულს, ნავთობპროდუქტებს, ფერად ლითონებს, სასუქებს, საგაზეთო ქაღალდს, აგრეთვე სხვა საქონელს, რომელიც აუცილებელია ინდოეთისათვის ეკონომიური განვითარების გეგმების შესასრულებლად.

ინდოეთი საბჭოთა კავშირს მოაწვდის ტყავნედლეულს, მატყლს, ჩაის, ყავას, პილპილს და თავის ტრადიციული ექსპორტის სხვა საქონელს. ამასთან ერთად სსრ კავშირს მოაწვდის ინდოეთის განვითარებადი მრეწველობის ზოგიერთი სახეობის პროდუქციას.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახალი ოქმი საქონელბრუნვის შესახებ ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდოეთის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს. (საქდესი).

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ

19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ცენტრალურმა ტელევიზიამ გადასცა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ა. ი. სტრუევის გამოსვლა.

მინისტრი შეეხო ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობის განვითარების შედეგებს და აღნიშნა, რომ მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 30 მილიარდი მანეთით და მეტად, რაც 10 მილიარდით აღემატება სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულს. 1969 წელს დასახულია მოსახლეობას მიეყიდოს 143 მილიარდი მანეთის საქონელი. ამას გარდა, ვაჭრობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით გაყიდონ 1,2 მილიარდი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

მიმდინარე წელთან შედარებით საქონელბრუნვის საერთო მატება შეადგენს 8,4 პროცენტს. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის ასეთი ზრდა, 1969 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს მოხმარების საგნების გამოშვების ზრდას უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე წარმოების საშუალებათა წარმოებას.

თავის გამოსვლაში ა. ი. სტრუევმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს საზღვარგარეთის პრესის ზოგიერთ ორგანოში იბეჭდება ცნობები, თითქოს საბჭოთა კავშირში მოსალოდნელი იყოს ფასების მომატება. ეს მტკიცებანი, თქვა მინისტრმა, სინამდვილეს არ შეესაბამება. არც მიმდინარე, არც მომავალ წელს არ მოიმატებს კვების რაიმე პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის საცალო ფასები. ეს სავსებით შეესაბამება სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებითაც გათვალისწინებულია საცალო ფასების არა მომატება, არამედ, პირიქით, თანდათანობით შემცირება. ეს კიდევაც ხორციელდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საქონლის გამოშვების გადიდების კვალობაზე. (საქდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

◆

ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში გრძელდება ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის კვირეული. კვირეული მიმდინარეობს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის რვა წლისთავთან დაკავშირებით. მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები მრავალ მიტინგსა და კრებაზე სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც უსამართლო, მძეცურ ომს ეწევიან ვიეტნამში. ისინი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირი კვლავაც ყოველნაირ მხარდაჭერას გაუწევს სამხრეთვიეტნამელ ძმებს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ 80 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ პირველი ქართული კონიაკი 1888 წელს გამოვიდა. მისი წარმოების რეცეპტურა და ტექნოლოგია შეიმუშავა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, ფილოსოფიისა და ქიმიის დოქტორმა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა, რომელმაც წინასწარ შეისწავლა საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და ყურძნის არსებული ჯიშები.

კონიაკმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. აი რა ეწერა ოთხი წლის შემდეგ დეპარტამენტის მოხსენებაში: „სარაჯიშვილის მიერ დამზადებული კონიაკი თავისი კარგი ხარისხით სავსებით უწევს კონკურენციას ზოგიერთი ხარისხის ჩამოტანილ კონიაკს და საღდება რუსეთის ყველა ბაზარზე...“.

ქართულმა კონიაკებმა 1889-1904 წლებში სრულიად რუსეთისა და საერთაშორისო გამოფენებზე დაიმსახურეს 11 სხვადასხვა პრემია, მათ შორის ექვსი ოქროს მედალი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კონიაკის წარმოება სწრაფად და ფართოდ ვითარდება და ქართული კონიაკები მსოფლიო სახელს იხვეჭენ.

ეს ითქვა 20 დეკემბერს საზეიმო საღამოზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში კონიაკის წარმოების 80 წლისთავს. ეს თარიღი აღინიშნება დავით სარაჯიშვილის დაბადების 120 წლისთავთან და კონიაკის წარმოების თვალსაჩინო საბჭოთა სპეციალისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვ. ციციშვილის დაბადების 80 წლისთავთან ერთად.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ვ. ვადაჭკორიამ. მან ქართველ მეღვინეებს მიულოცა სახელოვანი თარიღი და უსურვა ახალი წარმატებანი. 80 წლის მანძილზე კონიაკის მრეწველობის მიერ განვლილი გზის შესახებ ილაპარაკა „სამტრესტის“ მმართველმა გ. თუშმალიშვილმა. პროფესორებმა გ. ბერიძემ და ა. ლაშხმა, დოცენტმა ა. სტეფანიშვილმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს დავით სარაჯიშვილისა და ვახტანგ ციციშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

კონიაკის წარმოების ფუძემდებელთა შესახებ დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ს. ჟორჟენაძემ, დ. სარაჯიშვილის ფირმის ყოფილმა მოლარემ ს. პოლოსოვმა, სარაჯიშვილის სახლის ყოფილმა მმართველმა ა. მამაცაშვილმა და სხვებმა.

საზეიმო საღამოს მონაწილეებმა ნახეს ქრონიკალური ფილმები, რომლებიც ასახავენ იუბილარის ცხოვრების ეპიზოდებს.



საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ფრუიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ბოძელაური და ზ. გელდიაშვილი.

(საქდესი).

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებულმა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკურმა საბჭომ მოაწყო თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა სოფლის აქტუალურ საკითხებს.

თათბირ-სემინარი გახსნა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა პ. ულენტმა.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ჭანუყვაძემ.**

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მელიორაციის შემდგომი განვითარების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა **გ. ქობულიამ.**

„კომპლექსური მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის პროფესორ **ი. ხოხლოვის** მოხსენება.

სოფლის მეურნეობაში ქიმიზაციის ფართო განვითარების საკითხებს მიუძღვნა მოხსენება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა **ი. სარიშვილმა.**

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **პ. ულენტმა** წაიკითხა მოხსენება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ამოცანებზე.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **ა. კიკნაველიძემ.**

თათბირ-სემინარის მონაწილეებს პროფესორმა **დ. ენუქიძემ** წაუკითხა ლექცია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე. (საქდესი).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ ᲛᲐᲜᲝᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲖᲝᲡᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 21 დეკემბერი. (საქდესი). ბერძენი პატრიოტის მანოლის გლეზოსის სიცოცხლეს კვლავ სიკვდილის საფრთხე ემუქრება. ამას იუწყება ადნის სააგენტო, რომელიც იმოწმებს წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა საერთაშორისო ფედერაციის ვენის ბიუროს განცხადებას. როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, საბერძნეთის სამხედრო ხუნტის საპყრობილეთა ხელისუფლების ულმობელი მოპყრობის შედეგად მძიმედ დაავადდა მანოლის გლეზოსი, რომელიც უკანასკნელი მონაცემებით, საკონცენტრაციო ბანაკშია დამწყვდეული ლეროსის კუნძულზე. ბიურო მოუწოდებს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას გამოვიდეს აკროპოლის გმირის სიცოცხლის დასაცავად.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲑᲝᲜᲨᲘ

ᲑᲝᲜᲘ, 21 დეკემბერი. (საქდესი). ბონში კონკრეტული შედეგების მიუღწევლად დამთავრდა მორიგი ტური ამერიკა-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკებისა იმის შესახებ, რომ ბონმა ვალუტით აუნაზღაუროს ამერიკის შეერთებულ შტატებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი ამერიკის ჯარების შენახვის ხარჯები. მოლაპარაკებაზე განიხილავდნენ ამ საკითხის „ხანგრძლივად გადაჭრის შესაძლებლობას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებული შეთანხმება სავალუტო კომპენსაციის შესახებ მთავრდება 1969 წლის 30 ივნისს.

როგორც პრესა იუწყება, ვაშინგტონი მოითხოვს, რომ ბონმა სავსებით აუნაზღაუროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამერიკის შეიარაღებული ძალების შენახვის მთელი სავალუტო ხარჯები 3,6 მილიარდი მარკის ოდენობით წელიწადში. ამას გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვს, რომ დასავლეთმა გერმანიამ აუნაზღაუროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალების გერმანელ მოსამსახურეთა შენახვის სავალუტო ხარჯები 800 მილიონი მარკის ოდენობით ყოველწლიურად. თავის მხრივ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა შტრაუსმა მოითხოვა სავალუტო კომპენსაციის ფარგლებში გადიდდეს დასავლეთ გერმანიის კაპიტალის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ᲣᲢᲔᲕᲔᲜ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 21 დეკემბერი. (საქდესი). დღითი დღე ფართოვდება არაბ პატრიოტთა წინააღმდეგობა ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. როგორც გაზეთი „ახ ბარ ელ-იაუმი“ წერს, გუშინ პალესტინელმა მეამბოხეებმა ააფეთქეს ღაზის სექტორში გამავალი რკინიგზა. პატრიოტთა გაბედული მოქმედების პასუხად ისრაელის ხელისუფლებმა დაბომბეს იორდანიის არტილერიის პოზიციები მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე.

პარტიული ცხოვრება

ახლის ძიების გზით

□ 12 საკოორდინაციო საბჭო — პრაქტიკულ სამუშაოზე □ პარალელიზმისა და დუბლირების წინააღმდეგ □ საბჭოები აწყობენ მოსახლეობის გამოკითხვას □ პროპაგანდისტთა სამწლიანი უნივერსიტეტი

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიურ მუშაობას, მუდმივად სრულყოფს და აუმჯობესებს მის არსენალს.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვგრძნობდით ზოგიერთ სერიოზულ ნაკლოვანებას მასების პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში. ეს ნაკლოვანებანი კი უწინარეს ყოვლისა გამოიხატებოდა ამ მუშაობის სფეროს შეზღუდულობაში.

იმის გამო, რომ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინაციას ფაქტიურად არავინ არ ახდენდა, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, პარტიისა და კომკავშირის რაიკომებისა და საზოგადოება „ცოდნის“ პოლიტიკურ მომხსენებელთა და ლექტორთა ჯგუფების, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და ადგილებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კინოქსელის დირექციის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისას ადგილი ჰქონდა დუბლირებას, პარალელიზმს. ამ ღონისძიებათა დიდი უმრავლესობა უმთავრესად ტარდებოდა სასოფლო საბჭოების ცენტრებში, ხოლო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სფეროს გარეთ რჩებოდა ცენტრებიდან დაშორებული სოფლები, უბნები, ცალკეული დასახლებული პუნქტები, ოჯახები.

პარტიის რაიონული კომიტეტი ეძებდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთ საშუალებებს, რომელთა განხორციელება დაგვეხმარებოდა ამ ნაკლოვანებათა დაძლევაში. ჩვენს პირველ საზრუნავს წარმოადგენდა მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კოორდინაციის სწორად მოწყობა, ამ მიზნით პარტიის რაიკომის ბიურომ თავის მიმდინარე წლის 14 თებერვლის დადგენილებით **ბორითის, კიცხისა და მოლითის სასოფლო საბჭოებში შექმნა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოები.**

საბჭოების შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორები, საკლუბო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელები.

პარტიის რაიკომი თავიდანვე ქმედითად დაეხმარა საკოორდინაციო საბჭოებს ღრმად გარკვეულიყვნენ მუშაობის არსში. იგი თვეში ერთხელ აწყობს საკოორდინაციო საბჭოების თავმჯდომარეების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და კულტურის სახლის, კინოქსელის მუშაკთა შეკრებებს. ამ შეკრებებზე განიხილავენ საკოორდინაციო საბჭოების მიერ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს და სახავენ ახალ ამოცანებს. აქვე განაზოგადებენ დადებითს გამოცდილებას. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს საკოორდინაციო საბჭოების ინიციატივა და აქტივობა.

ასეთ ვითარებაში საკოორდინაციო საბჭოებმა შეძლეს **მოეწყოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სრულყოფილი და სწორი კოორდინაცია. სასოფლო საბჭოს მოსახლეობის ყველა ფენის, ყველა სოფლისა და დასახლებული უბნების მიხედვით თანაბრად განაწილდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი.**

კარგი გამოცდილება შეიძინა სოფელ ბორითში შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ. საგულისხმოა ასეთი ციფრი: პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი კოორდინაციის შედეგად წელს 10 თვეში შარშანდელთან შედარებით შორეულ სოფლებსა და დასახლებულ უბნებში 142-ით მეტი ლექცია, მოხსენება და საუბარი, 48-ით მეტი კინოსეანსი, 56-ით მეტი კონცერტი მოეწყო, ამ ღონისძიებებს სულ 16 ათასზე მეტი მსმენელი და მაყურებელი დაესწრო.

საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით სისტემატურად ეწყობა კოლმეურნეთა, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ექსკურსიები მშობლიური რაიონის გაცნობის მიზნით. მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ბორითის, უბისის, მაქათუბნისა და საქასრიის კოლმეურნეთა წარმომადგენლების ექსკურსია სოფელ კიცხის კოლმეურნეობაში. შეკრებაზე, რომელიც კიცხის კოლმეურნეობის ვენახების დათვალიერების შემდეგ მოეწყო, კოლმეურნეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მევენახეობაში შეძენილი გამოცდილება. ექსკურსიის შემდეგ ბორითის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე კ. ბარბაქაძემ კიცხელი კოლმეურნეებიდან გადაიღო სიმჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, რის შედეგად მან მიჩენილ ვენახის ფართობზე მნიშვნელოვნად გაზარდა ყურძნის მოსავლიანობა.

კიცხის საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით კოლმეურნეობის ცენტრიდან დაშორებულ იმ სოფლებსა და უბნებში, სადაც წინათ თითქმის არავითარი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა არ ტარდებოდა, წელს მოეწყო მრავალი ღონისძიება, რომლებსაც 4 ათასზე მეტი მსმენელი და მაყურებელი დაესწრო. ამ საბჭომ სოფლის ცენტრიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები დიასახლისებისა და ხანდაზმული მცხოვრებლებისაგან შექმნა ლექციებისა და მოხსენება-საუბრების მუდმივ მსმენელთა ჯგუფები.

კიცხის საკოორდინაციო საბჭოს ეს გამოცდილება დაინერგა ყველა საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის პრაქტიკაში.

პარტიის რაიკომი ზრუნავს არსებული საკოორდინაციო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. იგი სწავლობს და ანალიზს უკეთებს მათი მუშაობის მეთოდებსა და ფორმებს. ამჟამად უკვე შეძენილია მუშაობის ერთგვარი გამოცდილება.

აი ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითიც.

ზვარის საკოორდინაციო საბჭო დაინტერესდა აღრიცხა რვაწლიანი და საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც ჩაბმული არ არიან სასოფლო ბიბლიოთეკებში და არც სათანადო პირადი ბიბლიოთეკები აქვთ. აღმოჩნდა, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. საკოორდინაციო საბჭომ, საკლუბო დაწესებულებებმა, სკოლების მუშაკებმა ხელი მოჰკიდეს წიგნის პროპაგანდას; შეირჩა მკითხველებისათვის საინტერესო მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, პროპაგანდისტებმა მ. ყიფიანმა, გ. ლონდაძემ, ო. გოგნაძემ და სხვებმა ნაკლებად დასახლებულ უბნებში მოაწყეს ლიტერატურის ხმამაღლა კითხვა, შემოიღეს მკითხველ-მსმენელთა შთაბეჭდილების რვეულები. შედეგმაც არ დააყოვნა, ბიბლიოთეკაში საგრძნობლად გაიზარდა მკითხველთა რიცხვი.

კიცხის, ხევის, ღორეშის, ბორითის საკოორდინაციო საბჭოებმა წინადადება წამოაყენეს **მოეწყო მოსახლეობის გამოკითხვა** იმის თაობაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონე მასების მოთხოვნებსა და სურვილს. პარტიის რაიკომმა მხარი დაუჭირა ამ გონივრულ წინადადებას. შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვები რომლებიც დაურიგდა მოსახლეობას. ახლა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა იგეგმება მოსახლეობის მოთხოვნებისა და სურვილის მიხედვით.

პრაქტიკული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ საკოორდინაციო საბჭო არის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ეფექტიანობის ზრდას.

ორჯონიკიძის რაიონის იმ სოფლებში, სადაც საკოორდინაციო საბჭოები არსებობს, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სფერო მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენას, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების ცენტრებიდან დიდი მანძილით დაშორებულ ყველა დიდ და პატარა დასახლებულ პუნქტს, ყველა მოსახლეს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ასეთი ორგანიზაციის გამო.

როგორც უკვე აღვნიშნე, საკოორდინაციო საბჭოები არ არსებობს რაიონის ყველა სოფელსა და დაბაში, მაგრამ გამოცდილების შეძენის, საკოორდინაციო საბჭოების საქმიანობის სრულყოფისა და საბოლოოდ ჩამოყალიბების კვალობაზე ისინი ყველგან შეიქმნება.

ცნობილია, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა დონეზეა საქმე პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელში, როგორ არის მოწყობილი კომუნისტთა და უპარტიო აქტივისტთა პოლიტიკური სწავლება. ამასთან პოლიტიკურ სწავლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტთა თეორიულ განათლებას და მათს მეთოდურ დახელოვნებას.

მართალია, ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობენ პარტიის რაიკომთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარები, მაგრამ პროპაგანდისტის თეორიული ცოდნის დონის გაღრმავებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მარტო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობა. პროპაგანდისტები სულ უფრო ხშირად მოითხოვდნენ ლექციებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მიმდინარე პოლიტიკის, მეთოდოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. მაგრამ ჩვენ ყოველთვის არა გვქონდა მათი ამ კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.

ამიტომ პარტიის რაიკომმა დახმარებისათვის მიმართა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომლის ხელმძღვანელობამ უყოყმანოდ შეგვაგება თავისი დახმარება. ამის შემდეგ საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს მიმდინარე წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით რაიონში შეიქმნა პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელის პროპაგანდისტთა სამწლიანი უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანდა 176 პროპაგანდისტი. რაიკომის ბიურომ უნივერსიტეტის რექტორად დაამტკიცა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ა. არევაძე.

პროპაგანდისტთა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა შეიმუშავა, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. ამასთან პედაგოგიური ინსტიტუტი მთელი სწავლების პერიოდში პროპაგანდისტთა უნივერსიტეტს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონის ამაღლებამ რაიონის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია. ისინი თავდადებულად შრომობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ორჯონიკიძის რაიონული პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებით კიდევ უფრო გაზრდის მშრომელთა ცოცხალ შემოქმედებას, რაც ახალ წარმატებათა კარგი საწინდარი იქნება.

შ. ჯოგლიძე,
საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი.

---

22 დეკემბერი ენერგეტიკოსის დღეა

ენგურიდან ერისწყალამდე

ეს დღეები ვარდნილჰესების მშენებლებთან

დაზამთრდა ენგურჰესის ნაპირებზე. თოვლით გადათეთრებულ კავკასიონის ქედებიდან სუსხიანი ქარი უბერავს. ბუნება ჭირვეულობს — ხან წვიმს, ხან კი ახალი თოვლით იფიფქება არემარე. მთის მდინარეები ისე ადიდდნენ, როგორც გაზაფხულზე. ერისწყალმა დაბლობი ადგილებისაკენ, ველებისაკენ დაძრა აქაფებული ტალღები და ნაპირებიც გადალახა. ის თითქოს გრძნობს თავის უკანასკნელ დღეებს. მომავალ გაზაფხულზე ერისწყალი ხომ ახალ კალაპოტში იქნება მომწყვდეული. ჯერჯერობით კი ძალა მის ხელშია და ვარდნილჰესების მშენებლებიც გრძნობენ ამას. ელექტროსადგურების სამშენებლო მოედნებს აქა-იქ წყალი ემუქრება. მიწისმთხრელთა სპეციალური დამხმარე ბრიგადები აქ დღედაღამ სტიქიის წინააღმდეგ სადარაჯოზე დგანან. ისინი წყლის შემოტევისაგან იცავენ გვირაბებს და ახლადამოღებულ მთავარი ელსადგურის ღრმა ქვაბულს.

ამიტომაც ვარდნილჰესების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი თენგიზ ჩუბინიძე და მთავარი ინჟინერი ოთარ ჭინჭარაული სამუშაო დღეს უშუალოდ სამშენებლო უბნებზე იწყებენ. დღედაღამ დაძაბული შრომაა ამ დიდი მშენებლობის ყოველ კუთხეში. აქ მშენებლობის ყოველი ნაბიჯი ერთიან მტკიცე გრაფიკს ექვემდებარება.

აი მთის მაღალ კალთებზე ექსკავატორები და ბულდოზერები აცოცებულან. ფერდებს ხსნიან მთის კლდოვან ზედაპირს მძლავრი მანქანები. სამკუთხედივით მოჭრილ მთასთან სადაწნევო მილსადენის წყალმიმღები მოედანი მზადდება.

და ასე შენდება ჯერჯერობით დაცალკევებულ უბნებზე ვარდნილჰესების მომავალი კომპლექსი. მის აგებაზე მშენებლებმა 11 მილიონი კუბმეტრი კლდისა და მიწის სამუშაოები უნდა შეასრულონ. თითქმის ნახევარი მილიონი კუბმეტრი ასეთი სამუშაოები შესრულდა მარტო ვარდნილჰეს № 1 ქვაბულის ამოღების დროს. ეს ობიექტი ერთ-ერთი უმთავრესია მშენებლობაზე. მართალია, ვადაზე ადრე დამთავრდა ამ 42 მეტრის სიღრმის ქვაბულის ამოღება, მაგრამ აბა რა ფასი ექნება დახარჯულ შრომას, თუ ასეთივე მაღალი ტემპით არ მოხდა მისი დაბეტონება? ამიტომ მშენებლები მთავარ ყურადღებას ამ სამუშაოებს უთმობენ.

ყველაფერი აწონდაწონილი და გაანგარიშებული აქვთ ინჟინრებს. ქვაბულის მთელ სხეულში მშენებლები ჩაასხამენ 25 ათას კუბმეტრ რკინაბეტონს. აქ გადამწყვეტი სიტყვა მექანიზმებს ეკუთვნის. ამ დიდ სიღრმეში ბეტონს, არმატურას, საყალიბე ფიცარს და ლითონის კონსტრუქციებს ასტონიანი თვითმავალი ამწე ჩააწოდებს.

ერთ წელიწადსა და ათ თვეში შეუცვლელად უნდა დამთავრდეს რკინაბეტონის სამუშაოები მშენებლობის ამ მნიშვნელოვან ობიექტზე. მშენებლობის ყოველი კვანძი ამჟამად ქვაბულს ემსახურება. აქეთკენ განუწყვეტლივ მიედინებიან მასალებით დატვირთული 27-ტონიანი „ბელაზები“. დღედაღამ ისმის ბეტონის ქარხნის, მექანიკური და ხის დამმუშავებელი საამქროების ხმაური. ზამთრის ამ სუსხიან დღეებში სამშენებლო მოედანს განუწყვეტლივ ამარაგებს ბეტონის ქარხანა. მშენებლები ყოველთვიურად აქედან 10 ათას კუბმეტრ ხსნარს იღებენ. თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, შეფერხებას მაინც ადგილი არ ექნება. დაბა ჯვარში შენდება უწყვეტი მოქმედების ახალი ბეტონის ქარხანა. მართალია, მისი დანიშნულებაა პირველ რიგში ბეტონით მთავარი მაღლივი კაშხალის მშენებლობა მოამარაგოს, მაგრამ ოთხი ათასი კუბმეტრი ხსნარი, რომელსაც ის დღეღამეში დაამზადებს, სხვა უბნებსაც ეყოფა.

მართლაც და გრანდიოზულია ვარდნილჰესების მთავარი ჰიდროელექტროსადგურის ქვაბული. სულ ექვსიოდე თვის მანძილზე იქნა ამოღებული ეს გიგანტური „ორმო“, რომელშიც ათსართულიანი სახლი თავისუფლად ჩაეტევა.

შემოდგომის წყალდიდობამდე გადასცეს ეს ობიექტი მიწის მთხრელებმა მებეტონეებს. ამ ფრიად ძნელი სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილემ ფ. ჭელიძემ, უბნის უფროსმა ი. ფარულავამ, მექანიზაციის უბნების უფროსებმა ა. [illegible], [illegible], ცვლის უფროსმა ა. ხურცილავამ და სხვებმა.

26 ნოემბერს კი აქ საზეიმოდ ჩაიყარა ვარდნილჰეს № 1-ის საგენერატორო შენობა. პირველი ბეტონის ჩასხმა წილად ხვდა თვითსაცლელი ავტომანქანის მძღოლს ბ. გალდავას.

დაიწყო ენგურის კასკადის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა. [illegible] 1970 წლის ბოლოს — 31 დეკემბერს ელექტროსადგურმა პირველი სამრეწველო დენი უნდა მისცეს სამშობლოს.

ამჟამად მშენებლები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. მომავალი წლის სექტემბერს მებეტონეებმა სამუშაო ფრონტი უნდა მისცენ მემონტაჟეებს — ლითონის კონსტრუქციის მონტაჟისათვის.

ეს ნაგებობა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ვარდნილჰესების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა თ. ჩუბინიძემ, — ინჟინრული თვალსაზრისით ძალიან რთულია. იგი განსაკუთრებით მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს როგორც მუშების, ისე ინჟინერ-ტექნიკოსებისაგან.

ყველა წამყვანი და დამხმარე უბნის მუშაობა დღეს ვარდნილჰეს № 1-ის მშენებლობის გრაფიკთან არის შეთანხმებული. მოკლე ხანში მათ ამ ობიექტს უნდა მიაწოდონ 24 ათასი კუბმეტრი მაღალხარისხოვანი რკინაბეტონი, 9 ათასი ტონა არმატურა, 2.500 კუბმეტრი საყალიბე ფიცარი.

ბევრი რამ იქიდან, რაც ორიოდე წლის წინათ ამ დიდ მშენებლობაზე ხარაჩოებში იყო, დღეს პროექტით გათვალისწინებულ რკინა-ბეტონის მონოლითურ ნაგებობად იქცა.

დასასრულს უახლოვდება გვირაბების მშენებლობა. აქ დამთავრდა დიდი კვეთის გვირაბის დაბეტონება, და მშენებლები მას უკვე გამძლეობის გამოსაცდელად ამზადებენ. ამისათვის გვირაბსა და მთის კლდოვან ქანებს შორის დარჩენილი სივრცე ბეტონის ხსნარით ივსება.

კვალდაკვალ მიმდინარეობს სატორკრეტო სამუშაოები. გვირაბის შიდა კედლებს ცემენტის ხსნარის „პერანგს“ აცმევენ.

სულ უფრო მხრებს შლის და მთაგორაკებს შორის მაღლა იწევს ვარდნილჰესების კაშხალი. ორიოდე წლის შემდეგ აქ 160 მილიონი კუბმეტრი წყალი დაგუბდება. თავისი მოცულობით ეს ზღვა თბილისის ზღვაზე მეტი იქნება. მისი ზედაპირი 72 კვადრატულ კილომეტრს გადააჭარბებს.

აქაურ ბუნებას სრულიად უცვლის იერს მშენებლებმა. ერისწყლის ჯერ კიდევ გუშინდელ მარჯვენა ნაპირის ველ-მინდვრებზე ახალი მთაგორაკები მიიკლაკნებიან. ისინი ორივე მხრივ ზღვისკენ მიჰყვებიან ენგურის არხის ახალ კალაპოტს. 24 კილომეტრია მისი სიგრძე მთებიდან ზღვამდე. დილიდან საღამომდე გუგუნებს აქ მძლავრი ექსკავატორი. ეს მთაგორაკები ერისწყლის ნაპირებზე მის მიერ არის დაყრილი. მართლაც და განსაცვიფრებელია ამ გიგანტური მექანიზმის სიმძლავრე. მას საათში მიწის იმდენი სამუშაოს შესრულება შეუძლია, რამდენსაც ოთხი ათასი კაცი ძლივს მოერევა. ზღვამდე მისული არხი დღეს თუ ხვალ ვარდნილჰეს № 1-ის ქვაბულს მოადგება.

...სუსხიანი ქარი ზუზუნით უბერავს. ვარდნილჰესების მშენებლების დიდი შეტევა კი წარმატებით გრძელდება.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე. შესანიშნავ შრომით გამარჯვებებს აღწევენ ჰიდრომშენებლები. აქ ბევრი მოწინავე, გამოცდილი სპეციალისტია, რომელთაც არაერთი ელექტროსადგური აუშენებიათ ჩვენს ქვეყანაში. მათ არც ახალგაზრდობა ჩამორჩება. ახალგაზრდა მუშები არა მარტო ბაძავენ ვეტერანებს, არამედ შეჯიბრებაშიც კი იწვევენ მათ.

თავდადებული შრომით გაითქვა სახელი მეორე უბნის გამჭოლი ბრიგადის ელექტროშემდუღებელმა ვალენტინა კოშელევამ. იგი მშენებლობაზე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. ახლა იგი სამართლიანად ითვლება თავისი საქმის გამოცდილ ოსტატად. **სურათზე:** მოწინავე ელექტროშემდუღებელი, კომკავშირელი ვალენტინა კოშელევა.

ფოტო **ბ. სოკოლოვისა** (საქტაგის ფოტოქრონიკა)

მივლინება მკითხველის თხოვნით

სოფლის სატკივარი

რედაქციამ წერილი მიიღო. მისი ავტორები არიან მარნეულის რაიონის სოფელ ორჯონიკიძეში მცხოვრები ახალგაზრდები ზ. დავაძე, რ. გელაშვილი, ი. დარბაიძე და ზ. ბოჭოიძე. ამავე სოფლის თავკაცებმა გვითხრეს, რომ ოთხივენი აქტიურად შრომობენ საბჭოთა მეურნეობაში და მოწინავეებად ითვლებიან.

აი რას იწერებიან ისინი:

„ამბავი, რომელიც ჩვენ გვაწუხებს, შემდეგში მდგომარეობს. 15 წელზე მეტია, რაც ჩვენ მარნეულის რაიონში ჩამოვსახლდით. ამ ხნის მანძილზე არაერთხელ დასმულა საკითხი სოფელში კლუბის აშენების შესახებ, მაგრამ რატომღაც საქმეს დასასრული არ უჩანს და კვლავ უკლუბოდ ვართ.

სოფელში 400-მდე კომლი ცხოვრობს. ბლომად არის ახალგაზრდობა. შემოქმედებითი შრომის შემდეგ, ბუნებრივია, გვჭირდება კულტურული დასვენება, მაგრამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი არ გაგვაჩნია. ასეთი მდგომარეობაა მეზობელ სოფელ წერეთელშიც. უხერხულია, მაგრამ მაინც უნდა გაცნობოთ, რომ სოფლის მცხოვრებთ კინოსურათების ნახვა ღია ცის ქვეშ გვიხდება. ზოგჯერ შუაგზაზე წყვეტენ კინოსურათების ჩვენებას, და მაყურებელი მეტად უკმაყოფილო ბრუნდება შინ.

არის სხვა ნაკლოვანებანიც. სოფელი არადამაკმაყოფილებლად არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით. სახლებში გაყვანილი არ არის რადიოხაზი.

ყოველივე ამის გამო მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო რედაქციავ, და გთხოვთ ჩაერიოთ საქმეში“.

ვიდრე სოფელ ორჯონიკიძეში მივიდოდით, მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ყულიევი ვინახულეთ.

— წერილში მოთხრობილი ამბავი, — გვითხრა მან, — სინამდვილეს შეეფერება. რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს ყოველწლიურად დიდ მოგებას აძლევენ. კერძოდ, თვით ორჯონიკიძის სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ გასული წელი 28.768 მანეთის მოგებით დაამთავრა. საერთოდ კი რაიონმა 2 მილიონ 800 ათასი მანეთი მოგება მისცა სახელმწიფოს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წელს ამ თანხიდან არც ერთი კულტსაზოგადოებრივი მომსახურების ობიექტი არ დაგვიგეგმა, კლუბების, კულტურის სახლებისა და ბიბლიოთეკის მშენებლობაზე არც კულტურის სამინისტრო ზრუნავს. უკანასკნელ წლებში მისი ინიციატივით თითქმის არავითარი კულტურული კერა არ აშენებულა.

ამის შემდეგ ორჯონიკიძის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას ვეწვიეთ. შესანიშნავი სოფელია. ქებითა და დიდებით იხსენიებენ ახალგაზრდების — ც. ასანიძის, ი. დარბაიძის, ო. ჩხიტუნიძის, ვ. დადვაძის, გ. ბოჭოიძის, პ. ბოჭოიძის და სხვათა შრომას. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მეურნეობის ხელმძღვანელები ვალში არიან თავიანთი ახალგაზრდობის წინაშე. ახლა თვით მეურნეობის ხელმძღვანელებს მოვუსმინოთ.

— ჩვენი მეურნეობა მეოთხე წელია შეიქმნა, — ამბობს მთავარი აგრონომი, ფ. ქიქინაძე — სამართლიანად აყენებენ საკითხს ჩვენი ახალგაზრდები. ამ ხნის მანძილზე მართლაც ვერ შევძელით კლუბის აშენება. ეს საკითხი წელს კიდევ დავაყენეთ საქართველოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის ხელმძღვანელების წინაშე, მაგრამ მომავალი წლისათვის დაფინანსებაზე კვლავ უარი მივიღეთ. მეურნეობას კი იმის საშუალება არ გააჩნია, რომ საკუთარი ძალებით ააშენოს კლუბი, კინოთეატრი ან სხვა ნაგებობა.

წელს სოფელ ორჯონიკიძეში ორი კაპიტალური ნაგებობა ააშენეს. ესენია თვით მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი და საცხოვრებელი ბინა. დროზე რომ ეფიქრათ, ორივე ნაგებობის აშენებისას შეიძლებოდა ისეთი დარბაზის გაკეთება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კინოსურათების ჩვენება და კონცერტების გამართვა, მაგრამ ეს მომენტები მეურნეობის ხელმძღვანელებმა ნამდვილად გაუშვეს ხელიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელს შესანიშნავი ახალგაზრდობა ჰყავს. აქ კარგი მომღერლები, მოცეკვავეები და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ იმის გამო, რომ საშუალება არა აქვთ სადმე მოიყარონ თავი, ყოველგვარი თვითმოქმედება ჩამკვდარია. კონცერტები ან კინოსურათები რომ ნახონ, სოფლიდან რვა კილომეტრზე უხდებათ წასვლა.

ვფიქრობთ — ვერც ფოსტის რაიონული განყოფილების უფროსები (ფოსტის გამგე მ. მუსტაფაევი, კავშირგაბმულობის უფროსი გ. ანდიაშვილი) გაიმართლებენ თავს, რომ რაიონის ცენტრიდან სულ რაღაც 8 კილომეტრით დაცილებულ სოფელში აქამდე არ არის გაყვანილი ტელეფონისა და რადიოს ხაზები.

ახლა კი სასმელი წყლის შესახებ. სოფელში ჯერ კიდევ ადრე გამოიყვანეს სასმელი წყალი შულავერიდან. დებიტი საკმარისია, მაგრამ იმის გამო, რომ რეზერვუარის აგება ვერ შეძლეს, სოფელს წყალი მხოლოდ დილით და საღამოობით აქვს. აქ მთავარ დამნაშავედ ადგილობრივ მცხოვრებთ № 2 მოძრავი სამშენებლო კოლონის ხელმძღვანელები მიაჩნიათ (კოლონის უფროსი ფ. ადეიშვილი). ამ სამშენებლო ორგანიზაციას ჯერ კიდევ მარტში უნდა დაეწყო თურმე რეზერვუარის მშენებლობა, მაგრამ... ჯერჯერობით მშრალი დაპირებებია.

გვჯერა, რომ ის რაიონული თუ რესპუბლიკური ორგანიზაციები, რომლებზეც დამოკიდებულია სოფლად კლუბებისა და კულტურის სხვა კერების მშენებლობა, სათანადო დასკვნებს გააკეთებენ ორჯონიკიძელი ახალგაზრდების გულისტკივილით სავსე შენიშვნიდან, რომელსაც დღეს ჩვენი მკითხველებიც გაეცნენ.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამხედრო ჰოსპიტალი 160 წლისაა

შესრულდა საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის — ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო დაწესებულების შექმნის 160 წელი. ამ თარიღს მიეძღვნა 20 დეკემბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გამართული საზეიმო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-სამედიცინო განყოფილების უფროსმა მედიცინის სამსახურის გენერალ-მაიორმა ბ. **სედელნიკოვმა.**

ჰოსპიტლის კოლექტივს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-ლეიტენანტმა დ. **დრაგუნსკიმ.**

გენერალ-ლეიტენანტმა დ. **დრაგუნსკიმ** ჰოსპიტლის უფროსს, მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკს ზ. **პოდოროჟანსკის** გადასცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სამახსოვრო დროშა და გარდამავალი პრიზი „საუკეთესო სამხედრო სამედიცინო დაწესებულებას“. შემდეგ პოლკოვნიკმა ზ. პოდოროჟანსკიმ გააკეთა მოხსენება „საოლქო სამხედრო ჰოსპიტალი 160 წლისაა“.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლ. **ქავთარაძემ,** სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეცნიერების განყოფილების უფროსმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. **ტეველეკიანმა** და სხვებმა.

საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის კოლექტივს გულთბილად მიესალმა საბჭოთა არმიის მთავარი ქირურგი, სოციალისტური შრომის გმირი, მედიცინის სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი აკადემიკოსი ა. **ვიშნევსკი.**

საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის უფროსის მოადგილემ მედიცინის სამსახურის პოდპოლკოვნიკმა დ. **რომანოვმა** წაიკითხა სადღესასწაულო ბრძანება ჰოსპიტლისადმი.

საღამოზე წაიკითხეს უამრავი მისასალმებელი დეპეშა, რომლებიც ჰოსპიტალს გამოუგზავნეს ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან. (საქტაგი).

ნაშრომი სვანეთზე

სვანეთის ისტორიული წარსული განუყოფლად არის დაკავშირებული მთელი საქართველოს ისტორიასთან. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან სვანეთი გამოირჩევა ყოფის თავისებურებებით, ძველი კულტურის მაღალგანვითარებულობით და სხვა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ყოველმხრივ შესწავლილი არ არის. არსებული ლიტერატურაც უმეტეს წილად ველარ აკმაყოფილებს ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს, ამიტომ სვანეთზე ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა მისასალმებელია.

გამოვიდა **ა. ჩარკვიანის** წიგნი, რომელიც ეხება XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის სვანეთის ისტორიულ წარსულს.

ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს საკვლევი ხანის სვანეთის პოლიტიკური ცხოვრება, აგრარული ურთიერთობა რეფორმის წინ, საგლეხო რეფორმის გატარება, აგრარული ურთიერთობა რეფორმის მომდევნო ხანაში, გლეხური მეურნეობა, სასოფლო მმართველობა და ადმინისტრაცია, სწავლა-განათლების მდგომარეობა, საზოგადოებრივი მოძრაობა და რევოლუციური გამოსვლები სვანეთში და სხვ.

წიგნი თავისი შინაარსით სცილდება აქ წარმოდგენილ მიზანდასახულებას. ავტორს არა ერთი საინტერესო ორიგინალური მოსაზრება აქვს გამოთქმული, რომლებსაც საფუძვლად უდევს ეჭვმიუტანელი ფაქტიური მასალები: ისტორიული მონოგრაფიები, პერიოდული პრესა, მრავალი ახალი საარქივო დოკუმენტი და სხვ.

წიგნის შესავალში ა. ჩარკვიანი პირუთვნელად მიმოიხილავს იმ ავტორთა შრომებს, რომლებიც საკვლევი პერიოდის ყოფისა და კულტურის შესწავლას ისახავენ მიზნად. საგანგებოდ გამოყოფს იმ ავტორებს, რომლებიც სვანეთის წარსულის შეფასებისას მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის მიზნებით ხელმძღვანელობდნენ და სვანეთში ეძებდნენ ე. წ. „გვაროვნული წყობილების“ ნიშნებს.

ა. ჩარკვიანი თავის მონოგრაფიაში, სხვა საკითხებთან ერთად, საგანგებოდ ჩერდება რუსულ მმართველობამდელი პერიოდის ბალსზემო სვანეთის „ძველი საზოგადოებრივი“ მმართველობის ფორმების გადმონაშთებზე. მისი აზრით, XIX საუკუნეში ოჯახის მეთაურს „მახვში“ ეწოდებოდა. „ეს იყო ოჯახში უხუცესი, ცხოვრების გამოცდილების მქონე გავლენიანი პირი...“ და გვარს, თუ საგვარეულოს ოფიციალური, რეალური, ე. წ. საერთო „მახვში“ არ ჰყოლია (გვ. 67). ასევე მართებულია ავტორის მსჯელობა ტერმინ „თემის“ შინაარსობლივი მხარის განხილვისას (გვ. 67).

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია წიგნის IV თავი, რომელიც სვანეთის განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობისადმია მიძღვნილი (გვ. გვ. 169-229) და სადაც საარქივო დოკუმენტების მიხედვით სწორად არის განსაზღვრული ბალსზემო სვანეთის გლეხთა 1875-1876 წ. წ. შეიარაღებული აჯანყების მიზეზები, მსვლელობა და ხასიათი. მართებულად არის გადაწყვეტილი ნაშრომში ბევრი სხვა საკითხიც.

მიუხედავად ბევრი დადებითისა, წიგნი მაინც ვერ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან. ა. ჩარკვიანი ფეოდალიზაციის პროცესს სვანეთში XII საუკუნიდან ვარაუდობს, ხოლო შემდეგ აღნიშნავს, „რომ XIV-XV სს ზემო სვანეთი სოციალური სტრუქტურით ერთგვაროვანი ბატონყმური იყო“.

ჩვენი აზრით, ამ დებულებას უფრო დამაჯერებელს გახდიდა სათანადო წერილობითი მასალისა და მატერიალური ძეგლების მოშველიება. უფრო მეტიც, კალის, ნაკიფარის, იფარის, გულის ეკლესიების ფრესკული მინაწერები და სხვა თარიღიანი ძეგლების უფრო სერიოზული განხილვა, ამ თარიღის უფრო ადრინდელ ხანაში გადაწევის საშუალებას მოგვცემდა. გადაჭარბებული ჩანს (ყოველ შემთხვევაში საკვლევი პერიოდისათვის) ავტორის დებულება, თითქოს სვანეთი „როგორც საერთო კულტურული დონით, ისე სწავლა-განათლებით ბარს თითქმის არ ჩამოუვარდებოდა“ (გვ. 74). ცხადია, ეს ხარვეზები ისეთია, რომლებიც ვერ დაჩრდილავენ ა. ჩარკვიანის მონოგრაფიის ღირსებას.

ი. კვიციანი,
შ. შუკვანი,

წიგნები და მკითხველები

ერთი ინსტიტუტის გზა

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო განათლებასთან. მრავალი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკის განმსაზღვრელ დარგს და ამდენად, ცხადია, რომ სწავლა-განათლებას ამ მიმართულებით დიდი ყურადღება ექცევა. სწორედ სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიას შეეხება **გრ. თოდუას** სქელტანიანი ნაშრომი **„სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის საქართველოში“,** რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გამოსცა.

ნაშრომს წამძღვარებული აქვს მისი რედაქტორის პროფ. **ი. სარიშვილის** წერილი, სადაც მოკლედ ნაჩვენებია სასოფლო-სამეურნეო განათლების დონე, დახასიათებულია პარტიისა და მთავრობის სისტემატური დახმარების შედეგად კვალიფიციური კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი შედეგები.

ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერების ისტორიის, სასოფლო-სამეურნეო განათლების დონის მდალადებელი პირველადი წყაროები ყველგან ჯეროვან დონეზეა განხილული და დახასიათებული.

სათანადოდ გაშუქებულია თანამედროვე ტიპის პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის საქმიანობა, ნაჩვენებია მისი როლი კადრების მომზადებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ავტორი, სავსებით სწორად, დიდ ადგილს უთმობს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას (1883 წ. 4 სექტემბერი).

ნაშრომში მოყვანილია მდიდარი ფაქტიური მასალა საიდანაც ნათლად ჩანს ის მუშაობა, რომელიც წარმოებდა საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის შექმნისათვის, მაგრამ ეს საკითხი არსებითად გადაწყდა მხოლოდ 1919 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების ფაკულტეტთან არსდება აგრონომიული განყოფილება, რომელიც 1921 წლიდან ცალკე აგრონომიული ფაკულტეტის სახით ჩამოყალიბდა, ხოლო მის ბაზაზე 1929 წელს შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ სასწავლო და სამეცნიერო კერას სოფლის მეურნეობის დარგში მთელ სსრ კავშირში.

ნაშრომი დაწერილია მდიდარი ფაქტიური მასალისა და გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ლიტერატურული წყაროების ღრმად შესწავლის საფუძველზე. ავტორმა შეძლო სწორად ეჩვენებინა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ სასოფლო-სამეურნეო განათლების გაფართოებისათვის საბჭოთა საქართველოში წარმოებული დიდი მუშაობა და მისი შედეგები, როგორც მეცნიერების განვითარების, ისე სოფლის მეურნეობისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის თვალსაზრისით.

ბ. ხასია,
პროფესორი.

საერთაშორისო ცხოვრება

პოლონეთის მთავრობის სხდომა

ვარშავა, 20 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა სხდომას გააცნო წინადადებანი მთავრობისა და მმართველობის ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ. მთავრობა აპირებს სეიმში შეიტანოს წინადადება, რომ ზ. ნოვაკი და ფ. ვანიოლკა გაათავისუფლონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა პოსტებიდან. პირველი—პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარედ არჩევის გამო, მეორე კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

შეტანილ იქნება აგრეთვე წინადადება ა. რაპაცკის განთავისუფლების შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ამ პოსტზე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ს. ენდრიხოვსკის დანიშვნის შესახებ, რომელიც ახლა მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარეა. დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე გათვალისწინებულია დაინიშნოს ი. კულეშა, რომელიც ახლა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სეიმის ეკონომიური დაგეგმვის, ბიუჯეტისა და ფინანსების კომისიის თავმჯდომარეა.

მთავრობა აპირებს დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნოს ვ. ტრომპჩინსკი, რის გამო სეიმში შეტანილი იქნება წინადადება მისი განთავისუფლების შესახებ საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან.

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ხმების უმრავლესობით მოიწონა რეზოლუცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელების საკითხზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს რეზოლუციის მოწოდებას გაუქმდეს უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა კოლონიურ და დამოკიდებულ ტერიტორიებზე.

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ერთსულოვნად მოიწონა რეზოლუცია მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხზე.

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. ბასკაკოვი გვატყობინებს:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამთავრა განიარაღების საკითხთა განხილვა.

მთელ რიგ რეზოლუციებში განიარაღების საკითხზე, რომლებიც გუშინ მოიწონა პლენარულმა სხდომამ, აისახა კონკრეტული წინადადებანი განიარაღების შესახებ. ეს წინადადებანი მოცემულია სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმში გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე, რომელიც შემოტანილია გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის განსახილველად. 109 დელეგაციამ, მაგალითად, ხმა მისცა რეზოლუციას, რომელიც 18 ქვეყნის კომიტეტს სთხოვს გააქტიუროს მუშაობა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების შესამუშავებლად.

შეაფასა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 23-ე სესიაზე განიარაღების საკითხების განხილვის შედეგები სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ და თანმიმდევრულად მოითხოვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვას და მის სრულ ლიკვიდაციას.

რ. ნიქსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეულმა რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ როგორც კი მომავალი წლის 20 იანვარს შეუდგება თავის მოვალეობათა შესრულებას, აპირებს მომავალში მოაწყოს რაც შეიძლება მეტი შეხვედრები სხვა სახელმწიფოთა მეთაურებთან. ნიქსონმა ეს თქვა გუშინ აქ, როცა გამოაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა ჩარლზ იოსტი. როგორც ნიქსონმა თქვა, შეხვედრების მიზანი იქნება სხვა ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების „ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის“ გაუმჯობესების შესაძლებლობათა გამორკვევა.

ნიქსონმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე და უარყო პრესის ცნობები, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საფრანგეთში შრივერი ახლა ამზადებდეს ნიქსონისა და საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის შეხვედრას.

მსოფლიო დღეს • უცხოეთის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმოსური ხომალდის „აპოლონ-8“-ის სტარტი

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. იადროშნიკოვი გვატყობინებს:

დღეს 15 საათსა და 51 წუთზე მოსკოვის დროით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს პილოტირებული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-8“. ხომალდი გაშვებულია კენედის კონცხის კოსმოსური პოლიგონიდან სამსაფეხურიანი მატარებელი რაკეტის „სატურნ-5“-ის საშუალებით. ხომალდში სამი კოსმონავტია — სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი ფრენკ ბორმანი (ეკიპაჟის მეთაური), სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი უილიამ ანდერსი და სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტანი ჯეიმს ლოველი. გაშვების მთავარი ამოცანაა ხომალდის გაყვანა ორბიტაზე მთვარის გარშემო და შემდეგ დედამიწაზე დაბრუნება.

ფრენა გათვალისწინებულია ექვს დღე-ღამეზე ცოტა მეტი ვადით. პროგრამის თანახმად, კოსმოსური ხომალდი წინასწარ იქნება გაყვანილი წრიულ ორბიტაზე დედამიწის გარშემო. სამი საათის შემდეგ, დედამიწის ორი არასრული შემოვლის შემდეგ, დასახულია სტარტი მთვარის მიმართულებით.

მთვარისაკენ ფრენის სამი დღე-ღამის განმავლობაში კოსმონავტები შეასრულებენ ხომალდის ნავიგაციური სისტემების შემოწმების სხვადასხვა დავალებას და ზოგიერთ მეცნიერულ ექსპერიმენტს, აგრეთვე მოაწყობენ დედამიწასთან რადიო და სატელევიზიო კავშირის სეანსებს.

24 დეკემბერს ნავარაუდევია კოსმოსური ხომალდის „აპოლონ-8“-ის გაყვანა სელენოცენტრულ ორბიტაზე და ამ დროს მინიმალური მანძილი მთვარის ზედაპირიდან იქნება 111 კილომეტრი. მთვარის შემოფრენის დროს კოსმონავტები აწარმოებენ მთვარის ზედაპირის ფოტო და კინოგადაღებას, ვიზუალურ დაკვირვებას.

ოთხშაბათს 25 დეკემბერს დაგეგმილია ხომალდის გადაყვანა სელენოცენტრული ორბიტიდან დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე. ეს მანევრი, ამერიკელ სპეციალისტთა აზრით, კრიტიკულია გაშვების პროგრამაში, რადგან, ძრავის გაჩერების შემთხვევაში, კოსმოსური ხომალდი დარჩება მთვარის მიზიდულობის არეში. („ხომალდ „აპოლონ-8“-ის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის საავარიო რესურსი გათვალისწინებულია შვიდი დღე-ღამისათვის).

ხომალდი „აპოლონ-8“ უნდა დაეშვას წყალზე წყნარ ოკეანეში 27 დეკემბერს. წყალზე დაშვების გათვალისწინებულ რაიონში უკვე გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები ავიამზიდ „იორკტაუნის“ მეთაურობით.

იოკოგამის სასამართლოს განაჩენი

ტოკიო, 20 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. დროზდოვი იუწყება:

იოკოგამის რაიონულმა სასამართლომ ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა ამერიკელ ჯარისკაცებს ნაილსსა და ტაუერსს. ისინი მიმდინარე წლის 11 ივნისს იოკოგამის ტიუორინკანის რაიონში (კანაგავის პრეფექტურა) თავს დაესხნენ ტაქსისტ იუძი მინოვუს და გაძარცვეს. მძღოლი სერიოზულად იყო დაშავებული და რამდენიმე კვირას იწვა საავადმყოფოში.

ძარცვას, დებოშს, ძალადობასა და სხვა სახის დანაშაულობებს განსაკუთრებით ხშირად სჩადიან ამერიკელი ვაიმეომრები ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგების რაიონებში, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც დისლოცირებულია ვიეტნამის ომის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა ეგრეთწოდებული „დასასვენებელი სახლები“ და ამერიკელთა საველე ჰოსპიტლები ვიეტნამში დაჭრილი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. სასებოს ნავსადგურში, ქალაქ აომორში, სადაც მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო ბაზა „მისავა“, და სხვა ქალაქებში ხელისუფლებს არაერთხელ მიუმართავთ ამერიკელთა სარდლობისათვის და მოუთხოვიათ იხმაროს ღონისძიებანი დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამერიკის მხედრიონის თარეში იაპონიის მიწა-წყალზე გრძელდება.

ამჯერად ამერიკელ მძარცველ ჯარისკაცებს ბედმა უმტყუნა: ნაილსმა და ტაუერსმა ვერ შეაფარეს თავი სამხედრო ბაზის ეკლიან მავთულს. ისინი დანაშაულობის ადგილზე დააკავეს და წარუდგინეს იაპონიის სასამართლოს, რომელიც იძულებული იყო შეესრულებინა იოკოგამის მოსახლეობის მოთხოვნა დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

დღეს ჩეხოსლოვაკიაში

ეროვნული კრების სესია

პრაღა, 20 დეკემბერი (საკდესი). აქ მუშაობას განაგრძობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების სესია. გუშინ დეპუტატებმა განიხილეს და მოიწონეს კონსტიტუციური კანონი ფედერალური სამინისტროებისა და კომიტეტების შექმნის შესახებ. ამ კანონის შესაბამისად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიქმნება შვიდი ფედერალური სამინისტრო—საგარეო საქმეთა, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა, დაგეგმვის, ფინანსთა, შრომისა და სოციალურ საქმეთა, საგარეო ვაჭრობის სამინისტროები და შვიდი ფედერალური კომიტეტი — ფასების, ტექნიკური განვითარებისა და მშენებლობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ტრანსპორტის, ფოსტისა და კავშირგაბმულობის საქმეთა, პრესისა და ინფორმაციის კომიტეტები.

ეროვნულმა კრებამ მიიღო აგრეთვე კანონი, რომელიც განსაზღვრავს ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის კომპეტენციას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისადმი ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საკითხებში, და კანონი ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეობისა და სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ.

ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 21 დეკემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პლენუმმა განიხილა ეროვნული ფრონტის წესდების პროექტი. თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობისა და ფრონტის მთავარი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ერბანმა.

ეროვნული ფრონტი, განაცხადა მან, სავსებით უჭერს მხარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ჩეხოსლოვაკიელი ხალხის უმრავლესობა ადგას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის პლატფორმას, პარტიისა, რომელიც სოციალიზმისათვის ბრძოლის ავანგარდი და ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელი ძალაა.

ე. ერბანმა თქვა, რომ წესდების პროექტში ჩამოყალიბებულია ეროვნული ფრონტის ორგანოების საქმიანობის ძირითადი პოლიტიკური პრინციპები და მათი შინაგანი სტრუქტურა, ფრონტში შემავალ ორგანიზაციათა უფლება-მოვალეობანი. წესდების დიდმნიშვნელოვანი ნაწილია დებულება, რომ ეროვნული ფრონტის წევრობასთან შეუთავსებელია ანტიკომუნიზმის, ანტისოციალიზმის, ფაშიზმის, შოვინიზმის, რასიზმის, სამხედრო პროპაგანდისა და სარწმუნოების საკითხებში შეუწყნარებლობის რაიმე გამოვლინება.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია ე. ერბანის მოხსენების გამო და ეროვნული ფრონტის წესდება.

დავიცვათ პარტიის წესდება

პრაღა, 20 დეკემბერი (საკდესი). „რუდე პრავო“ სათაურით „წესდების დარღვევის სერიოზული შემთხვევები“ ბეჭდავს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მ. იაკეშის სტატიას. სტატიაში, კერძოდ, ლაპარაკია „პარტიის ორგანიზაციული, აღმზრდელობითი და საკონტროლო ფუნქციების საერთო შესუსტების შესახებ პარტიული ხელმძღვანელობის ყველა დონეზე“. ავტორს მიაჩნია, რომ ეს იმ მცდარი, ლიბერალური, მემარჯვენულ-ოპორტუნისტული ტენდენციების შედეგია, რომლებიც არღვევენ პარტიული მუშაობის ყველაზე ელემენტარულ პრინციპებს.

„პარტიული დისციპლინის მნიშვნელოვანი შესუსტება, — წერს იგი, — განსაკუთრებით ნათლად ვლინდება გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობით. პარტიული დისციპლინის ამ დარღვევას ის აღრმავებს, რომ პარტიული დისციპლინის საფუძველთა დარღვევიდან არავითარი დასკვნები არ გამოაქვთ. რასაკვირველია, საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ პარტიაში ყველას შეეძლოს თავისი შეხედულებებისა და თვალსაზრისის გამოთქმა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ პარტია უნდა შეურიგდეს ბრძოლას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევებში დარწმუნებიდან უნდა გადავიდეთ მოქმედებაზე, რაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წესდებიდან გამომდინარეობს.

სტატიაში მოყვანილია პარტიის წესდების დარღვევის შემთხვევები, ნათქვამია, რომ გრძელდება ცილისწამება პარტიის ზოგიერთი პატიოსანი წევრის მიმართ და ამავე დროს ვლინდება შემწყნარებლობა პარტიის იმ წევრებისადმი, რომლებიც აგვისტოს ამბების დროს საზღვარგარეთ დარჩნენ და რომელთა საქმიანობა ხშირად ეწინააღმდეგება და ეწინააღმდეგებოდა პარტიის წესდებას.

ავტორი აღნიშნავს, რომ „პარტიულ ორგანიზაციათა საშინაო ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირება ითვალისწინებს პარტიის წესდებით დამკვიდრებული წესებისა და პრინციპების, მათ შორის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვას“.

ჯაშუში პროფესორები

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ ორგანიზაციები და საერთაშორისო განვითარების სამმართველო ეწევიან იდეოლოგიურ დივერსიასა და აშკარა ჯაშუშობას დომინიკის რესპუბლიკაში. როგორც „ლიბერეიშნ ნიუს სერვისის“ სააგენტოს კორესპონდენტი სანტო-დომინგოდან იუწყება, მათ ხელშია მასწავლებელთა ეგრეთწოდებული „მოსამზადებელი კურსები“, რომლებზეც ამერიკელი აგენტები „პროფესორთა“ სახით აწარმოებენ ახალგაზრდობის მომავალ აღმზრდელთა იდეოლოგიურ დამუშავებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის, კერძოდ ვიეტნამის ბინძური ომის, ლათინურ ამერიკასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მონოპოლიათა პოლიტიკის გამართლებას. ამავე დროს „მშვიდობის კორპუსის“ და საერთაშორისო განვითარების სამმართველოს აგენტები ეწევიან ჯაშუშობას. „ლიბერეიშნ ნიუს სერვისის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სანტო-დომინგოში ამ საქმიანობის მთავარი ბუდე გახდა კერძო კოლეჯი.

◆

გაუშვეს ფრანგული რაკეტა

პარიზი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი იუწყება, კურუს კოსმოსური ცენტრიდან (საფრანგეთის გვიანა) გაშვებულია ფრანგული რაკეტა — ზონდი „ვერონიკა 61-მ“. გაშვების მიზანია ანდრომედას თანავარსკვლავედში გალაქტიკური ნისლიანობის ფოტომეტრიული შესწავლა. რაკეტის გაშვებამ წარმატებით ჩაიარა. მან მიაღწია 162 კილომეტრ სიმაღლეს.

მემარცხენე ძალების გამარჯვება

რომი, 21 დეკემბერი. (საკდესი). პიზიდან იუწყებიან, რომ დაიშალა მემარცხენეცენტრისტული ჯუნტა (მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი კომიტეტი), რომელშიც შედიოდნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები. ჯუნტის შვიდი წლის „მმართველობისათვის“ დამახასიათებელი იყო მუდმივი კრიზისები, რაც უშუალო გავლენას ახდენდა ქალაქის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

გუშინ შეიქმნა ახალი ჯუნტა მხოლოდ მემარცხენე პარტიების — კომუნისტური პარტიის, პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთაგან.

ქალაქ პიზის მერად არჩეულია კომუნისტი ფაუსტა ჯანი ჩეკინი.

◆

აშშ-ის მმართველი წრეები თავიანთ რევანშისტულ გეგმებში ფაშისტური სახელმწიფოების — ესპანეთისა და პორტუგალიის ჩათრევით ცდილობენ მათი აქტიური მხარდაჭერით ხელში ჩაიგდონ ატომური იარაღი. ამას მოწმობს კიზინგერის ამასწინანდელი მოგზაურობა მადრიდსა და ლისაბონში.

(გაზეთებიდან).

◆



ბონის „საიმედო“ საყრდენი
ნახატი ი. კოკიაშვილისა.

მხოლოდ ფაქტები

● ლუსაკა, 20 დეკემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ს. კულიკი გვატყობინებს:

აქ გამოაცხადეს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის ლიდერი კენეტ კაუნდა არჩეულია ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტად მომდევნო ოთხი წლისათვის.

● ტოკიო, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილით სასებოში ოთხი დღის ყოფნის შემდეგ იაპონიის ეს ნავსადგური დატოვა ამერიკის ატომურმა წყალქვეშა ნავმა „პლანჯერმა“.

როცა „პლანჯერი“ იაპონიის წყლებიდან გადიოდა, კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა მოაწყვეს მიტინგები, რომლებზეც გამოთქვეს იაპონელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება განაგრძონ ბრძოლა იაპონიაში ამერიკის ატომური სამხედრო ხომალდების ვიზიტების წინააღმდეგ, იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულებისა“ და აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის დასაყრდენ პუნქტად იაპონიის გადაქცევის წინააღმდეგ.

◆

არაბ პატრიოტთა მოქმედება

ბეირუთი, 21 დეკემბერი. (საკდესი). 19 დეკემბრის საღამოთი „ალ-ასიფის“ შეიარაღებული რაზმების მონაწილენი არაბი პატრიოტები თავს დაესხნენ ისრაელთა ორ სამხედრო ბანაკს იორდანის ხეობის ჩრდილოეთ სექტორში მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, იუწყება „ალ-ასიფის“ სარდლობა რადიოთი გადაცემულ კომუნიკეში.

ამ ოპერაციების დროს, ნათქვამია ცნობაში, დახოცილია ოთხი ისრაელი ჯარისკაცი და მაიორის ჩინის ოფიცერი. განადგურებულია სამი სამხედრო სატვირთო მანქანა, ორი საწყობი და ტყვიამფრქვევის ბუდე.

გარდაიცვალა ჯ. სტეინბეკი

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ 66 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი მწერალი ჯონ სტეინბეკი. ლიტერატურული სახელი სტეინბეკს მოუტანა 1939 წელს დაწერილმა რომანმა „რისხვის მტევნები“. 1961 წელს მან გამოაქვეყნა ფართოდ ცნობილი რომანი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“. ერთი წლის შემდეგ მას მიენიჭა ლიტერატურის დარგის ნობელის პრემიის ლაურეატის წოდება.

მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო

სტუმრად პიგმეებთან

საბჭოთა ჟურნალისტმა ვ. დუნაევმა იმოგზაურა აღმოსავლეთ, დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში. მან საკუთარი თვალით ნახა და ფოტოფირზე აღბეჭდა ტანმორჩილი მონადირეები — ბამბუტიელი პიგმეები. მათ შესახებ იგი მოგვითხრობს წიგნში „ფრთხილად, ჯუნგლებში საფარია!“ ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

მათ შესახებ მოთხრობილია უძველესი საბერძნეთის პოეტურ ლეგენდაში. შორს, ოკეანის სამხრეთ ნაპირზე, ცხოვრობს მკლავისხელა ხალხი — „პიგმე“. ყოველ შემოდგომაზე პიგმეები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან წეროებს, სამხრეთისაკენ რომ მიფრინავენ.

პიგმეებზე მოგვითხრობს ჰომეროსი თავის „ილიადაში“. მკლავისხელა ადამიანებზე ნათქვამი იყო სხვა ლეგენდებშიც. ოღონდ მათში ჯუჯები უკვე ბინადრობდნენ აღმოსავლეთში, „სადღაც ინდოეთს იქით“.

პიგმეების შესახებ ცნობები მრავალი საუკუნის მანძილზე ლამაზ ზღაპრად, მითად, ფანტაზიად ითვლებოდა. და უცებ მითიური ჯუჯები, ლეგენდებში რომ ცხოვრობდნენ, გაცოცხლდნენ. ზღაპარი სინამდვილედ იქცა. ნამდვილი პიგმეები აღმოჩნდნენ აფრიკის გულში, სამხრეთში — იქ, სადაც ისინი ჰომეროსმა „დაამკვიდრა“. ხოლო შემდეგ „სადღაც ინდოეთს იქით“, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აღმოაჩინეს ჯუჯების კიდევ ერთი ტომი.

თითქოს განგებ, ჯუჯა ტომები დასახლდნენ ან, უფრო სწორად, ძლიერმა მეზობლებმა აიძულეს დასახლებულიყვნენ პლანეტის ყველაზე ძნელმისადგომ მიყრუებულ ადგილებში. მეცნიერებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს შეესწავლათ მათი ყოფაცხოვრება და ზნე-ჩვეულებები.

ითხზვებოდა ახალი ლეგენდები ახლა უკვე არა მითიური, არამედ რეალურად არსებული პიგმეების უჩვეულო ცხოვრებასა და ადათ-წესებზე. დღესაც კი ძალიან ცოტა რამ ვიცით პიგმეებზე — ადამიანებზე, რომლებიც არასოდეს არ ტოვებენ ტყეს, სადაც დაიბადნენ.

და როდესაც ჟურნალისტის ბედმა ტოროს სამეფოში, უგანდაში მიმიყვანა, გადავწყვიტე აუცილებლად მიმეღწია პიგმეების სოფლამდე. ასე აღმოვჩნდი რუვენზორის — მთვარის მთების თოვლიანი მწვერვალების კალთებთან.

მთვარის მთები

აფრიკის პარალელებისა და მერიდიანების ჯადოსნურ კალეიდოსკოპში მე ვნახე განის მიუდგომელი ჯუნგლები, ატლანტიკის შფოთიანი მოქცევა, ლაგოსს რომ უტევს, მანგოს სასწაულებრივი ტყე ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე, თვალწარმტაცი ვიქტორიას ტბა...

მაგრამ ყველაზე გასაოცარი მთვარის მთების მისადგომები იყო: თოვლი ეკვატორზე, ციკლოპური მთები, ბანანების გაუვალი ტყეები, უიშვიათესი სენეციები და ძეხვის ხეები, პირთამდე წყლით ავსებული ვულკანების ქვაბურები, გოგირდის ორთქლში გახვეული გეიზერები და იტურის ხელშეუხებელი ტყე.

დიახ, სწორედ ამ ზღაპრულ მხარეში უნდა ცხოვრობდნენ ლეგენდარული პიგმეები. აქ სამი ჯუჯა ტომია: აკა, ბასუა და ეფე. ისინი იტურის ტყეში ცხოვრობენ. ეს ტყე, რომელიც ფართობით პატარა ევროპული სახელმწიფოს ოდენაა, თავისი ტერიტორიით ორ სახელმწიფოს — კონგოსა და უგანდას უკავშირდება. აქ, მთვარის მთების ჩრდილოეთ კალთებზე, მომთაბარეობენ პიგმეები ეფე, ჯუჯები ჯუჯათა შორის — ყველაზე დაბალი ტანის ადამიანები მთელ მსოფლიოში.

მაგრამ როგორ მიაღწიოს კაცმა იტურის ტყეს? ერთადერთი გზა, რუვენზორზე რომ გადის, მაშინ საომარ მოქმედებათა ასპარეზად იყო გადაქცეული. ბაკონჯოსა და ბამბას მთიელმა ტომებმა გადაწყვიტეს ტოროს სამეფოს გამოყოფოდნენ, და მთვარის მთებში არ ცხრებოდა ბრძოლები ბამბა-ბაკონჯოს ტომებსა და ბარში მცხოვრებ ბატაროს ტომს შორის. სეპარატისტული მოძრაობის სათავეში დგას „მთების მეფე“ მუკირანე. სპეციალური საშვის უქონლად გაღწევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

ქალაქ ფორტ-პორტალის პოლიციის კომისარმა უარი თქვა ნებართვაზე. ბოლოს, დაჟინებული თხოვნის შემდეგ, „მღელვარებათა რაიონზე გავლის“ საშვი გასცა ტოროს ომუკამის (მეფის) რუკირიბასაია ჯორჯ დევიდ კომურაზი რუკიდი მესამის კანცელარიამ. ნებართვითა და თვით „ლუსილი ბოსეიგეს“ — „ადამიანთა მფლობელის“, ასე უწოდებენ აქ ტოროს მეფეს, დაცვის სიგელით დავადექით გზას.

...მთის თავბრუდამხვევი გზები, უფსკრულებისაკენ რომ არიან დაქანებული, რათა კოკისპირული წვიმების წყალი ქვემოთ ჩადინდეს. თვლებიც კი ქვემოთ გეწევიან. შემხვედრი მანქანა რომ შეგვხვდეს, გვერდს ვერ აუქცევ გზაზე, რომელიც ხუთკილომეტრიან ფრიალო კლდეში გამოკვეთილ ბილიკს უფრო ჰგავს. მაგრამ, საბედნიეროდ, არც ერთი მანქანა არ შეგვხვედრია.

თანდათან მთები „გაახალგაზრდავდნენ“, ჭაღარა მოიცილეს, დაპატარავდნენ, ბორცვებად იქცნენ. აკაციის ქოლგები და სენეციები ბუჩქნარებმა შეცვალეს. და უცებ ირგვლივ ჩამობნელდა — ჩვენს თავზე ხშირი ტყის „თაღები“ შეიკრა, ცნობილი იტურის ტყეს კედრებისა და გიგანტური ევკალიპტების პიკებით თითქოს ალყაში მოუქცევია მთვარის მთების „ციხე-სიმაგრე“.

სოფელი ბუნდიბუგია გზის ბოლოა. შემდეგ საჭირო გახდა მანგოს ხეების ლიანებით დახლართული ტყის გავლა. აქედან სამი მილის შემდეგ კონგოს ტერიტორია იწყება — საზღვარი აქ, რა თქმა უნდა, არ არის და ტყიდან შეიძლება ორ სახელმწიფოში მოხვდე.

ყველაზე პატარა ადამიანები მსოფლიოში

როგორ გინდა იპოვნო ამ მწვანე ოკეანეში, ამ დაბურულ ბუნებაში პატარა პიგმეები, რომლებსაც ამავე დროს მუდმივი ადგილსამყოფელიც არა აქვთ? გამყოლმა აფრიკელმა მარცხნივ მიგვითითა. იქ, ტყისპირა მინდორზე ჩალის რამდენიმე მრგვალი ქოხი დგას. ეს არის მუკონჯოს ტომის სოფელი.

— სად შეიძლება პიგმეების პოვნა? — კითხვითვე გვიპასუხა მუკონჯოს მეომარმა. — ოო, ისინი აქვე ახლო არიან. თქვენ ბედმა გაგიღიმათ — ორი კვირის წინათ კონგოდან პიგმეების რამდენიმე ოჯახი მოვიდა აქ. ისინი ჩვენთვის ბანანს კრეფენ, სამაგიეროდ ჩვენ მათ ყოველ მესამე მტევანს და დამატებით ისრის თავებსაც ვაძლევთ.

და ისევ გზა დაიწყო. იტურის ტყეს გავდიოდით. ბანანების მკაცრ და ხშირ ტყეში რამდენიმე კარავი გამოჩნდა, რომლებიც მაგნოლიისა და ბანანის ფოთლებისაგან იყო დაწნული. „ბუსაალე“, — გვითხრა ჩვენმა მოხალისე გამცილებელმა. მუკონჯოს ენაზე „ბუსაალე“ პიგმეის ნიშნავს.

ჩვენს შესახვედრად კარვებიდან უჩვეულოდ პატარა მამაკაცები, ქალები, მოხუცები გამოიქცნენ. ათი წლის ბავშვის სიმაღლისა თუ იქნებოდნენ — არაუმეტეს 135 სანტიმეტრისა. ბავშვები კი ნამდვილ ზღაპრულ ცეროდენებს ჰგავდნენ. თვითეულ ოჯახში სამი-ოთხი ბავშვია.

ერთ ყველაზე მოხუც ქალს მივუახლოვდი. მინდოდა ასაკი გამეგო. გამცილებელმა მისი პასუხი მითარგმნა: „მე ოცი წლისა ვარ“. ნუთუ პიგმეის ქალებმაც იციან წლების მოკლება? არა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ თურმე არ იციან თავიანთი ასაკი, და რაც პირველად მოადგებათ ენაზე, იმ ციფრს ამბობენ.

ეფეს პიგმეები — ისინი თავის თავს ბამბუტის უწოდებენ — სიამაყით გვიჩვენებენ მძიმე მშვილდისრებს, რომლებზეც მაიმუნის კუდის ტყავია გადაკრული. მრავალი პიგმეის სიცოცხლედ უჯდება ალბათ ტომს ამ სამონადირეო ტროფეის — ავაზის ტყავის ან სპილოს ხორთუმის მოპოვება. ისინი სხვა ტომებისაგან განსხვავებით ისრის თავებს თვითნაკეთ მცენარეულ შხამში არ ასველებენ. ვეკითხები, როგორ ნადირობენ სპილოზე.

გამცილებელი მუკონჯოს ტომიდან, რომელიც პიგმეების ნაამბობს თარგმნის, მათ ცრურწმენითი შიშით შეჰყურებს. იშვიათია ისეთი ტომი, აფრიკის სავანებისა და ტყეების მეფესთან პირისპირ შებმას რომ ბედავდეს. ბამბუტები კი სპილოზე სანადიროდ ორ-სამი კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად მიდიან.

ისინი უთვალთვალებენ სპილოს და ხის ვარჯიდან ვარჯზე გადადიან. შევამჩნიე, რომ ამ „ტყის ადამიანებს“ შემთხვევით არა აქვთ მეტად არაპროპორციულად გრძელი ხელები. მთავარია, ამბობენ ბამბუტები, მიეპარო მარტოდ მყოფ მძინარე სპილოს. მახვილწვერიან შუბს ელვის სისწრაფით ჩაარჭობენ უკანა ფეხის მუხლს ქვემოთ და ამგვარად გადაუჭრიან ძარღვებს. დაკოჭლებული, გამძვინვარებული სპილო დიდხანს ბრდღვინავს, მაგრამ პიგმეები იმ დროს ხის ვარჯებში იმალებიან. შემდეგ იწყება ყველაზე საშიში ოპერაცია. ერთხელ კიდევ უნდა მიეპარო დაჭრილ გიგანტს და გადაუჭრა მეორე უკანა ფეხის ძარღვები. მაშინ სპილო, სისხლისაგან იცლება და მთელი ტომის ნადავლი ხდება. მაგრამ მგრძნობიარე სპილომ რომ გაიღვიძოს, ვიდრე მონადირე პიგმეი მიეპარება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო არ არის. შემთხვევითი როდია, რომ სოფელში ქალები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე მამაკაცები. ბევრ კარავში ოჯახის თავკაცი არ არის — იქ მხოლოდ ქვრივები და ობლები ცხოვრობენ. დაღუპულის ამულეტს იცვამს მისი ძმა ან შვილი, მასვე ერგება შუბი, და იგი მიდის ქალებისა და ბავშვებისათვის ხორცის საშოვნელად.

მართლაც რომ ბრინჯაოსფერკანიანი ჯუჯების მოქნილობა და ძალა შეიძლება არა მარტო ევროპელებს, არამედ ზორბა ტანის აფრიკელებსაც შეშურდეთ.

მსოფლიოს მოწყვეტილ იტურის ტყეში გატარებულმა საუკუნეებმა შემოინახა მათი უძველესი ადათ-წესები. ბამბუტები დღემდე უმ ხორცს ჭამენ, პრიმიტიულ იარაღებსა და ჭურჭელს იყენებენ. არაფერი იციან მათ ირგვლივ არსებულ დიდ სამყაროზე.

პიგმეების სამივე ტომი — მათში 30 ათასი კაცია — კონგოს მოქალაქეებად ითვლება. ნაწილი უგანდაში ცხოვრობს. თუმცაღა, თვითონ პიგმეებმაც არ იციან, რომელ სახელმწიფოში არიან ამჟამად. კონგოს ახლანდელ მმართველებს არ ანაღვლებთ ამ ტომების ბედი. ექიმი და მასწავლებელი იტურის ტყეში არასოდეს არ გამოჩენილა.

იტურში მაჭანკლებს გზავნიან

მიუხედავად ზემოთქმულისა, მათი ცხოვრება რამდენადმე მაინც იცვლება, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პიგმეები ჩივიან, რომ სულ უფრო მცირდება დაუშინებელი ნადირი. ჯუნგლებში სულ უფრო ხშირად გაისმის ევროპელი მონადირეების თოფის ხმა. ისინი სდევნიან და აშინებენ სპილოებს, კამეჩებს, ზებრებს. ნადავლის მოპოვება პიგმეებს სულ უფრო უძნელდებათ, და ბამბუტები რამდენიმე კვირით, ხოლო ზოგჯერ თვეობითაც — განსაკუთრებით ნაყოფის შეგროვების სეზონში — იტურისპირას, მუკონჯოსა და სხვა ტომებთან ახლოს სახლდებიან.

ადრე ისინი მხოლოდ ტყავს ცვლიდნენ ნაჯახებში, დანებში, თიხის ჭურჭელში, ახლა კი მუკონჯოს პლანტაციებში ბანანის დამზადებაზე მუშაობენ. ჩვეულებრივ ბამბუტის სადგომები მუკონჯოს სოფლებს 2-3 კილომეტრით არის დაშორებული. პიგმეები უცხო თვალისაგან მალავენ თავიანთ ადათ-წესებს, ხოლო სხვა ტომები არ ერევიან ბამბუტების სამყაროში. მაგრამ აქაც არის ერთი გამონაკლისი. მუკონჯოს, ბაკონჯოს და სხვა ტომების მამაკაცებს ხშირად მოჰყავთ ცოლად პიგმეი. მე ვერ შევძელი გამომერკვია, იხდიან თუ არა რაიმე გამოსასყიდს პატარძლისათვის, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ქალ პიგმეებს არავინ იტაცებს, მათ კლანი იძლევა. როგორც ჩანს, აქ თავს იჩენს პიგმეების ოჯახებში ქალების სიჭარბე და იმის შესაძლებლობა, რომ შემცირდეს „მუქთამჭამელთა“ რიცხვი. თავის მხრივ ტანმაღალ ტომებსაც აქვთ ბამბუტებთან შერეული ქორწინების ობიექტური საფუძველი. მიკროორგანიზმები, რომლებსაც შეიცავენ ნილოსის, კონგოსა და მრავალრიცხოვანი ტბების წყლები, ქალების უნაყოფობას იწვევს. უგანდასა და აღმოსავლეთ კონგოში ბევრია უშვილო ოჯახები, ამიტომ პიგმეი ქალი სულ უფრო ხშირად ტოვებს იტურის ტყეს.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — პიგმეები თავიანთ კარვებთან; საბჭოთა სამკერდე ნიშნები პირველად მოხვდა მსოფლიოში ყველაზე ტანდაბალ ადამიანებთან.

კომუნისტი 1969 წელი

ჩვენს მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო!

დეკემბერიც მიიწურა. როგორც იტყვიან, თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა 1968 წლის ბოლომდე. ახალი, 1969 წელი კარზეა მომდგარი. წესია: ადამიანი ამ დროს განვლილს აჯამებს და აქედანვე იჭერს მომავლის თადარიგსაც. ჩვენც გადავწყვიტეთ, კეთილი ჩვეულებისამებრ, კვლავ თქვენთან ერთად მოვითათბიროთ, ძვირფასო მკითხველებო, და თქვენი სურვილების, წინადადებებისა თუ კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით დავსახოთ 1969 წლისათვის რედაქციის შემოქმედებითი გეგმა. წელს ხომ თითქმის ნახევარ მილიონს მიაღწია თქვენმა რიცხვმა, გაზეთ „კომუნისტის“ ხელისმომწერთა რიცხვმა. და აი, სათათბიროდ რომ გიწვევთ, რედაქციას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს: სწორედ ამ ასეულ ათასობით ადამიანის აზრისა და გემოვნების მეტი უტყუარი ნიშანწყალი დაეტყოს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობას, ჩვენი გაზეთის ფურცლებს.

თქვენი უშუალო რჩევით იყო, რომ გაზეთმა დიდი ყურადღება დაუთმო იდეოლოგიურ საკითხებს, საბჭოთა მშენებლობისა და ეკონომიური რეფორმის პრობლემებს, კრიტიკული გამოსვლების შედეგიანობას, მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის აღზრდას; წინა წლებთან შედარებით თემატიკურად უფრო მრავალფეროვანი გახდა საერთაშორისო ცხოვრების განყოფილებაც. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ გაზეთს ძირითადად თქვენ ასაზრდოებთ. წელს „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული თქვენი წერილების რაოდენობამ დიდად გადააჭარბა წინა წლებისას. არაერთი რუბრიკა, თემა თუ კუთხე სწორედ თქვენი ნაკარნახევია, ამოკრეფილია გაზეთის მეგობართა სურვილებიდან და წინადადებებიდან.

მაგრამ ახალი წელიწადი ახალ საზრუნავს გვიჩენს. წელს, შარშანდელთან შედარებით, ბევრი რამ შეიცვალა, ხოლო გაისად, ბუნებრივია, წლევანდელზე მეტია გასაკეთებელი. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, ჩვენი გაზეთის მეგობრებო, მოგვწეროთ, შეგვატყობინოთ თქვენი აზრი, რა მოგეწონათ ან რა არ მოგეწონათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე 1968 წელს და რას უსურვებდით გაზეთს მომავალი 1969 წლისათვის.

იმედია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დროულად, ამ წლის ბოლომდე, გვირჩევთ, გვიკარნახებთ იმ ახალ **რუბრიკებს, განყოფილებებსა და თემებს**, რომლებიც 1969 წელს გსურთ იხილოთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ველით თქვენს წერილებს!

მოგვწერეთ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

მობრძანდით იროდიონისეულ კერაზე!

შესრულდა მწერალ ბაბილინა ხოსიტაშვილის კეთილი სურვილი: სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელთა და ბოდბისხეველი კოლმეურნეების მონდომების შედეგად იროდიონისეულ კერაზე აღდგენილ იქნა პირვანდელი სახე იმ ოთახისა, სადაც დაიბადა უახლოესი ქართული ლიტერატურის რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელი იროდიონ ისაკის-ძე ევდოშვილი.

შეგროვებულ და მოტანილ იქნა ის ავეჯი და ნივთები, რომელიც პოეტის სიცოცხლეში ამ ოთახში იდგა: გასაშლელი მაგიდა, ტახტი, ლედისეული სკივრი, ჭურჭლის კარადა, ჭერის ლამპა და წიგნების თარო.

იროდიონ ევდოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სტაციონარული გამოფენა ცალკე ოთახში მოეწყო.

როგორც ცნობილია, იროდიონ ევდოშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ი. სტალინთან, ლ. კეცხოველთან და სხვა რევოლუციონერებთან. მუზეუმისთვის ძვირფასი შენაძენია პროფესორ შალვა გოზალიშვილის მიერ გამოგზავნილი ერთი წერილის ფოტოასლი. ირ. ევდოშვილთან ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ ი. სტალინი არალეგალურად მომუშავე ძველ ბოლშევიკს პიმენ სპირიდონის-ძე დვალს სწერს:

„ჩვენებურო! ამ ბარათის მომტანი პოეტი ევდოშვილია. ვაძლევ შენს ადრესს იმ აზრით, რომ შეხვდები ამ ჩემს კაი მეგობარს, როგორც ძმას და ამხანაგს. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი კერძო საქმეები აქვს და შენ უეჭველად ხელი უნდა შეუწყო. შენგან ცოტაოდენი შრომის დახარჯვაა, მეტი არაფერი არ სჭირდება.

შენი სოსო.

ჩემს ამბავს გეტყვის ეს კაცი“.

ირ. ევდოშვილი 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით წავიდა ქ. ჭიათურაში. ჭიათურაში ცხოვრობდა აკაკი ბელიაშვილის მამის იონა ბელიაშვილის (თლუღელის) ოჯახში. აკაკი ბელიაშვილის ახლო ნათესავებმა მუზეუმს დაუბრუნეს იროდიონის პირადი ნივთები: მაგიდა, სამელნე, კალამი.

მუზეუმისათვის ახალი შენაძენია იროდიონის გადასახლებაში ნაქონი ნივთები.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულმა მუზეუმმა ირ. ევდოშვილის სახლ-მუზეუმს გადასცა იროდიონის მემორიალური ნივთები: წიგნების თარო და მაგიდა.

მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს სტენდზე გამოფენილი მასალები; მათ შორის ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ვლ. ჯაფარიძის მიერ მუზეუმისათვის გამოგზავნილი გაზეთ „ზვირთის“ 1916 წლის 16 მაისის ნომერი, სადაც ვრცლად არის გადმოცემული მასალები ირ. ევდოშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. განსაკუთრებით გამოკვეთილია პოეტის ავადმყოფობა და დაკრძალვა. „ჯერ არ გამშრალიყო ჩვენი ერის დიდების — აკაკისა და ვაჟას ნეშტის დამფარავი მიწა, რომ კვლავ გაისმა საშინელი გმინვა ქართველი ხალხისა, ევდოშვილი აღარა გვყავსო“.

აქვეა გამოფენილი თანამედროვე ბოდბისხევის ყოფაცხოვრების ამსახველი, და ღვაწლმოსილი ადამიანების ფოტომასალები, რომლითაც ასე ამაყობს სოფელი ბოდბისხევი.

მობრძანდით იროდიონისეულ კერაზე!

თ. გოზალიშვილი,
სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

რ. ციხისელი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] შინაგან საქმეთა სამინისტროს [illegible] მუშაკთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მოქალაქე და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უანგარო მებრძოლი **რაჟდენ პავლეს-ძე ციხისელი.**

რ. ციხისელი დაიბადა ონის რაიონის სოფელ ბარში 1925 წელს. 1946 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოში. რ. ციხისელი სკკპ წევრია 1948 წლიდან. იგი ჯერ სამინისტროს რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს ექიმად, შემდეგ ამავე საავადმყოფოს უფროსის მოადგილეა, მერე კი საავადმყოფოს უფროსი.

1956 წლიდან რ. ციხისელი ინიშნება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკა-საავადმყოფოს გაერთიანების ექიმ-ქირურგად. 1960 წლიდან ის ამავე გაერთიანების სამედიცინო განყოფილების უფროსის მოადგილეა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

რ. ციხისელის მადლიან მარჯვენას საქართველოს სსრ შსს ორგანოებისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ბევრი მუშაკისათვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

მას მიღებული აქვს ხუთი მედალი, შსს ორი საპატიო სიგელი, მრავალი მადლობა და წახალისება. ის ღირსებით ატარებდა „მედიცინის წარჩინებული მუშაკის“ საპატიო წოდებას. სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

იგი წავიდა ჩვენგან ჯერ ისევ ახალგაზრდა, 43 წლისა. მისი ხსოვნა წარუშლელი იქნება ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ხელოვნების დღიური

● **ბათუმი.** (საქ. კორ.). ბათუმის სახელმწიფო ცირკში წარმატებით გამოვიდნენ ბულგარეთის ცირკის მსახიობები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა დიმიტროვის პრემიის ლაურეატი, ბულგარეთის სახალხო არტისტი ლაზარ დობრიჩი.

● **აჭარაში** გასტროლები ჰქონდა აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. კონცერტები გაიმართა ბათუმისა და ქობულეთის რაიონების სოფლებში. (საქკორ.).

● **ჩხოროწყუ.** (საქ. კორ.). რაიონის კულტურის სახლთან არსებობს საესტრადო კოლექტივი, რომელიც თორმეტ მსახიობ-სცენისმოყვარეს აერთიანებს. საესტრადო კოლექტივს კონცერტები ჰქონდა ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, აბაშის და ცხაკაიას რაიონების სოფლებში.

●

ზამთარი ბაკურიანში

ფოტო ნ. მალაზონიასი.

ოპერეტის ოსტატი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბარბარე ივანეს ასული იანვარაშვილი 1938 წლიდან დღემდე მთელი შემოქმედებითი ენერგიით ემსახურება საქართველოში ოპერის ჟანრის განვითარებასა და აყვავებას. ბარბარე იანვარაშვილმა თავისი ნათელი ცხოვრებითა და შემოქმედებით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ ქართული ოპერეტის ფორმირების ურთულეს გზებზე მაგალითად მიიჩნიოს მისი გულწრფელი, სიცოცხლისუნარიანი შემოქმედება.

დრამატული თეატრის ძარღვიანი რეპერტუარიდან მოვიდა იგი ოპერეტის ჟანრში და კლასიკური თუ თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლებში თავისებური არტისტული სურნელი მოაფრქვია მუსიკალური კომედიების გმირებს. ბარბარე იანვარაშვილი ყოველთვის მზად არის ურთულესი სცენური ფსიქოლოგიური ამოცანის შესასრულებლად. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ოპერეტის თავბრუდამხვევ პერიპეტიებში მისთვის დაუძლეველი სცენური ამოცანა არ არსებობდეს. არც შეიძლება ამ მსახიობის ოსტატობა ვიწრო გაგებით შემოიფარგლოს. ის ცხოვრობს თეატრის ცხოვრებით, მისი ადგილი ყველა ახალ დადგმაშია, ხოლო ბ. იანვარაშვილის დამოკიდებულება როლისადმი, დიდია ის (კეცია — კომპოზიტორ შ. მილორავას და დრამატურგ ლ. ჭუბაბრიას ოპერეტაში „სიმღერა თბილისზე“) თუ პატარა (ჰოპკინსი ფ. ლოუს მიუზიკლში „ჩემი მშვენიერი ლედი“), ყოველთვის ერთნაირად განისაზღვრება: შთაგონებულია წარმოდგენის ზეამოცანით.

150-ზე მეტი როლი შეასრულა მან სხვადასხვა დროს, 150 ახალგაზრდა, ასაკოვანი თუ ხნიერი ქალის სულიერ სამყაროში ჩაიხედა მსახიობმა და თვითეული მათგანის სიხარული, ტკივილი, აზრი გონებამისაწვდომი, ხელმისაწვდომი გახადა მაყურებლისათვის. ბ. იანვარაშვილისათვის მსოფლიო ოპერეტის კლასიკური მემკვიდრეობა თუ თეატრში დღეს მოსული დრამატურგის და კომპოზიტორის ფიქრი მაყურებლის ფიქრთან არის გატოლებული და დარბაზიც ალბათ ამიტომ შეჰყურებს მსახიობს თვალებში. ლ. ჭუბაბრიას, გ. ნახუცრიშვილის, დ. გაჩეჩილაძის, პ. გრუზინსკის, ნ. ხუნწარიას, ოთ. რაზმაძის, მიხ. თარხნიშვილის და კიდევ ბევრის შემოქმედების ორგანული ნაწილია ბ. იანვარაშვილის სცენური მოღვაწეობა და ისინი ხელიხელჩაკიდებულნი დღესაც ქმნიან ხვალინდელ ქართულ ოპერეტას. თეატრის მუდმივი თუ მოწვეული რეჟისორები, ბალეტმეისტერები, მხატვრები სიამოვნებით მუშაობენ მასთან, ვინაიდან ორივე მხარისათვის ეს შემოქმედებითი პროცესია.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დღევანდელ მოქმედ რეპერტუარში 11 წარმოდგენიდან შვიდში მონაწილეობს ბ. იანვარაშვილი. შვილებისა და ქმრისადმი ერთგულებით უბრწყინავს თვალები მაშოს (კომპოზიტორ ლ. იაშვილის და დრამატურგ მიხ. თარხნიშვილის მუსიკალური კომედია „ბაბაჯანას ქოშები“), მონაზვნის მოსასხამქვეშ კვის როზალიას ვნებამორეული სხეული (ი. მილიუტინის „ჩანიტას კოცნა“), დრომოჭმულ აზრთა აშმორებულ ტბად ქცეულა ორომსი (შ. აზმაიფარაშვილის ოპერეტა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“), დროსა და ფუჭ პრაქტიკულ ჭკუას სასაცილო თოჯინად უქცევია თათანა (კომპოზიტორ შ. მილორავას და დრამატურგ გ. ჭიჭინაძის მუსიკალური კომედია „საბედისწერო ოპერაცია“), სტუდენტური ხალისით სავსე ინტრიგებში გახლართულა დეიდა თეო („შესანიშნავი სამეული“ — კომპოზიტორი გ. ცაბაძე, დრამატურგი ნ. ხუნწარია).

თეატრი უახლოეს პერიოდისათვის ამზადებს ორ ახალ დადგმას: სრულიად ახალი რედაქციით იდგმება კომპოზიტორ შ. მილორავას და დრამატურგ ლ. ჭუბაბრიას ოპერეტა „სიმღერა თბილისზე“, რომელშიც ბ. იანვარაშვილის კეცია კვლავ გაახარებს მსახიობის ნიჭის თაყვანისმცემლებს. იგი ეძებს ისაბელის რთული სახის არსს ახალგაზრდა კომპოზიტორ გ. აზარაშვილის და დრამატურგ მ. გოგიაშვილის ისტორიული ხასიათის ოპერეტა „მეცხრე ტალღაში“. განზრახულია აგრეთვე მას მიენდოს ერთ-ერთი წამყვანი როლი კომპოზიტორ გ. ცაბაძის და დრამატურგ მიხ. თარხნიშვილის მუსიკალურ კომედია „კურკას ქორწილში“ (მიხ. ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით).

მთავრობის მიერ ორი მედლით და სიგელებით დაჯილდოებულს, 1964 წლიდან რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, მუდამ ახალგაზრდული ენერგიის მსახიობს, მოქალაქეს, დედას, ბებიას, ხვალ, 23 დეკემბერს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შენობაში 40 წლის ხელხვავიანი ღვაწლისათვის მადლობას მოახსენებს მშობლიური ხალხი.

ა. ტრაპაიძე,
თეატრმცოდნე.

30 დეკემბერს მოგებათა ტირაჟი

30 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი მეოცე ტირაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში საქდესის კორესპონდენტს უთხრეს, რომ ტირაჟში სესხის თითოეულ თანრიგზე გათამაშდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება. მათ შორის არის მოგებანი 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთის ოდენობით.

სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა შემდეგი ტირაჟი გაიმართება ხარკოვში 1969 წლის 15 თებერვალს.

კიდევ ერთი ტური...

კალათბურთი

თუ ჩემპიონატის სტარტზე ბრძოლა თითქოს კანონზომიერად წარიმართა და ასე თუ ისე ასახავდა ძალთა თანაფარდობას, შემდგომ ეტაპებზე რიტმულობა დაირღვა, თავი იჩინა მოულოდნელობებმა და, რა თქმა უნდა, შეიცვალა მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობაც.

ამ მხრივ გამონაკლისი არც მეშვიდე ტური იყო. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თუ როგორ წარიმართა ან რით დამთავრდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის კაუნასის „ჟალგირისისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ მეშვიდე ტურის მატჩი. ისიც ცნობილია, რომ თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა პაექრობის ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა. გთავაზობთ დინამოელთა მატჩის უკანასკნელი წუთების მსვლელობას. თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, როდესაც ილიუკმა ზუსტი ტყორცნით ბურთი თბილისელთა კალათში ჩააგდო და თავისი გუნდი წინ გაიყვანა — 61:60. იქვე ქორქიამ და მოსეშვილმა 2 ბურთით უპასუხეს. მატჩის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, წინ 5 ქულით თბილისელები იყვნენ. თითქოს სტუმრებს გამარჯვება უზრუნველყოფილი ჰქონდათ, მაგრამ აი შალამოვისა და ილიუკის ორი ტყორცნა მიზანს მოხვდა — 70:69 თბილისელთა სასარგებლოდ.

მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამდე 38 წამი რჩებოდა, ბურთი მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ უშედეგოდ — წარმატება თბილისელებს ხვდათ. ეს იყო მათი მეექვსე გამარჯვება, მოსკოველები კი მეხუთეჯერ დამარცხდნენ.

კიევის „სტროიტელმა“ მეშვიდე ტურში მოუგო რიგის ვეფ-ს 74:62. პირველი ქულა, ჩაიწერა სატურნირო ცხრილში ალმა-ატის „ლოკომოტივმა“. მან დაამარცხა რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი 82:78. ლენინგრადის „სპარტაკისა“ და კიევის სკა-ს შეხვედრის შედეგია 66:60 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

გუშინ გაიმართა მერვე ტურის მატჩები. თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს კაუნასის „ჟალგირისისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. წარმატება „ჟალგირისს“ ხვდა 76:63 (43:25).

მოსკოვში პაექრობა ჰქონდათ სსრ კავშირის ჩემპიონს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოველ თანაკლუბელებს. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 75:65.

ვ. ბაბელია.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	6	6	0	464-402	6
„ჟალგირისი“ (კაუნ.)	8	6	2	590-547	6
„დინამო“ (თბ.)	8	6	2	588-569	6
„სპარტაკი“ (ლ.)	7	5	2	507-469	5
სკა (კ.)	7	5	2	468-445	5
„სტროიტელი“ (კ.)	7	4	3	484-471	4
ვეფი (რ.)	7	3	4	481-462	3
„დინამო“ (მ.)	8	3	5	520-511	3
„ბურევესტნიკი“ (თბ.)	8	3	5	491-524	3
„კალევი“ (ტ.)	6	1	5	416-464	1
„ლოკომოტივი“ (ალმ.)	7	1	6	524-603	1
სკა (რ.)	7	0	7	482-543	0

მოახლოებული ფინიში

რიგის საკავშირო გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში ფინიშს უახლოვდება. უკვე გათამაშდა 9 ტური. თუ აქამდე ლიდერობას „ბურევესტნიკისა“ და შეიარაღებული ძალების გუნდები ინარჩუნებდნენ, ახლა მათ შეუერთდნენ „სპარტაკის“ მოჭადრაკეები.

მეცხრე ტურში „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „იუდი“ 6:0. ჯერჯერობით არმიელი მოჭადრაკეებისა და „ავანგარდის“ გუნდის მატჩის ანგარიშია 3:1. გადადებულ პარტიებში არმიელებს მოსაგები პოზიციები აქვთ. „სპარტაკმა“ მოუგო „ლოკომოტივს“ 6:4.

9 ტურის შემდეგ ლიდერს — „ბურევესტნიკის“ გუნდს 59 ქულა და 4 გადადებული პარტია აქვს, „სპარტაკს“ — 55 ქულა, შეიარაღებული ძალების მოჭადრაკეებს — 54 ქულა და 9 გადადებული პარტია.

წარმატებით დაიწყეს

კალათბურთელ

ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებამ სტარტი აიღო. საბჭოთა კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობს არმიის სასპორტო კლუბის გუნდი. პირველი შეხვედრა არმიელ კალათბურთელებს ჰქონდათ ლაიპციგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონთან — „ფორვერტსთან“. შეხვედრის შედეგია 66:54 არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდის სასარგებლოდ. საბჭოთა კალათბურთელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო ბელოვი, რომელმაც თავის გუნდს 17 ქულა მოუტანა.

ამ გუნდების მეორე შეხვედრა გაიმართება მომავალი წლის 5 იანვარს მოსკოვში.

რამდენიმე სტრიქონით

● **ლენინგრადში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. ფინალში გავიდნენ „დინამოსა“ და პროფკავშირთა გუნდები. მათს დასკვნით ასპარეზობაში წარმატება დინამოელებს ხვდათ და თასიც მათ მოიპოვეს.

● **ალმა-ატაში** მიმდინარეობს ძალოსანთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი. ქვემსუბუქ წონაში უძლიერესი იყო ე. ქარიმოვა — 360 კილოგრამი, მსუბუქ წონაში — **ნ. ნოგაიცევი** — 412,5 კილოგრამი, ქვესაშუალო წონაში — **ს. ვორობცოვი** — 420 კილოგრამი. გუშინ საშუალო წონის **ნ. ხოროშაევმა** აჭიმა 167,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

რუმინული იუმორი



„კედელი“



უსიტყვოდ

სადისერტაციო სიზმარი

ფელეტონი

სამკითხველო დარბაზში თავშეკავებული ზუზუნი იდგა.

წიგნის მოლოდინში გაზეთების კითხვით ვირთობდი თავს. ჩემი მდგომარეობის კაცისათვის ძნელი იყო უყურადღებოდ დამეტოვებინა განცხადებები დისერტაციების დაცვის შესახებ. ერთ გაზეთში ცხრა დისერტანტის გვარი დავითვალე. მეორეში კი შვიდი ცდილობდა შეეღო მეცნიერებისაკენ მიმავალი კარი. ხოლო მესამეში...

ეჰ! ჩემი გვარი როდის იქნება აქ! — სინანულით გავიფიქრე და წიგნის მისაღებად წავედი. საინტერესო წიგნი აღმოჩნდა და შეუმჩნევლად შემიყოლია...

მაგრამ სანამ ცოცხალია კაცი, განა გამოელევა საქმე?... გამახსენდა, რომ საავადმყოფოში დეიდა მყავდა მოსანახულებელი.

წამოვდექი და თავაზიანად გამოვეთხოვე ჩემს გვერდით მჯდომს. (სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისაგან ოფლად გაღვრილიყო.). მას წიგნები გაეშალა და ხან ერთიდან და ხან მეათიდან გულმოდგინედ რაღაცას იწერდა.

ქუჩა სავსე იყო მზით და ქალებით. მაგრამ არავინ მაინტერესებდა. დეიდასთან მეჩქარებოდა. უცებ მეგობარი შემომხვდა. მხარზე ხელი ძლიერად დამკრა, ე. ი. მომესალმა.

— როგორა ხარ? — მკითხა.

— რა მიშირს, — ვუპასუხე და შეთხელებულ თმაზე გადავისვი ხელი.

— თუ ვაჟკაცი ხარ, დისერტაცია არ გამომაპარო!

— შენს პირს შაქარი... მაგრამ ჯერ სადა ვარ!..

— იჩქარე, იჩქარე, ხომ იცი... ეგ ყველაფერზე ნაღდია... მეც გადავწყვიტე შევუდგე ამ საქმეს, — გამანდო თავისი ფიქრი ისეთი სახით, თითქოს რაღაც დამამცირებელი რამ უნდა ჩაიდინოსო.

ავტობუსში ტევა არ იყო. მე თავს მხოლოდ იმით ვიმაგრებდი, რომ წასაქცევი ადგილი აღარსად მქონდა. ჩემს წინ სასიამოვნო გარეგნობის ერთი ქალი იჯდა. მის გვერდით ყმაწვილი მოკალათებულიყო.

— სადისერტაციო თემაზე მუშაობთ? — მორიგი შეკითხვა მისცა ქალმა.

— მალე დავიწყებ... გავიგე, თქვენ უკვე დაგიმთავრებიათ. მართალია? — კითხვაზე კითხვა მოუნაცვლა ბიჭმა. ქალმა კმაყოფილება ვერ დაფარა. ჩაიცინა და წიგნი მიაწოდა.

— ავტორეფერატი?! მოსალოცად გქონიათ საქმე, — წამოიძახა ახალგაზრდამ და ისე შეათამაშა ხელნაწერი, თითქოს უნდა აწონოსო.

ავტობუსმა კინოთეატრის წინ ჩაიარა. „ომი და მშვიდობა“ გადიოდა, უამრავი ხალხი ირეოდა.

— ნემსს ვერ ჩააგდებ, — თქვა ქალმა. — ხვალ უნდა ვნახო.

— საინტერესოა, რის შესახებ არის? — იკითხა ბიჭმა. ქალმა მხრები აიჩეჩა.

პალატაში საწოლები ისე მჭიდროდ ჩაემწკრივებინათ, რომ თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე... დეიდა ლოგინზე იჯდა — თმაჩამოშლილი, გაყვითლებული. იჯდა და ტიროდა. ჩემს დანახვაზე გაღიმება სცადა, მაგრამ ამაოდ. იქვე ჩამოვჯექი და კარგა ხანს უსიტყვოდ შევყურებდი. არაფრის გაკეთება არ შემეძლო მისთვის. მოხუც დამლაგებელს მოვკარი თვალი და შევევედრე:

შეტევა აქვს, პალატის ექიმს დაუძახე!

— არა სცალია, ბატონო, კაბინეტში სადოქტოროზე მუშაობს..

— პროფესორი?

— დისერტაციის დაცვაზეა, ვიღაცის ოპონენტია, ბატონო.

— თქვენ არ მუშაობთ დისერტაციაზე? (უცებ ხუმრობის ხასიათზე დავდექი.) ჭკუაზე შეშლილს რომ შეხედავენ ხოლმე, ისე ეჭვით ჩამათვალიერა. შემდეგ კი მაინც გამანდო გულისტკივილი.

—ვერ ავაწყე, ბატონო, ცხოვრება, თორემ... ვისზე ნაკლები ვიყავი...

სიზმრებს იშვიათად ვნახულობ. იმ ღამეს კი ვნახე და ძალიან უცნაურიც.

უმაღლეს სასწავლებელს ხალხი შესეოდა. ყოველ მათგანს სადისერტაციო შრომა ამოეჩარა იღლიაში. ზოგს მძიმე, ზოგს კი მსუბუქი და სიფრიფანა. ბევრნი ქანქანებით მოდიოდნენ და ხუთ-ათ წუთში ბედნიერი სახით გამოდიოდნენ. ვის არ ნახავდით აქ. ასე წარმოიდგინეთ, ჩემი ნაცნობი ლუდის გამყიდველიც შევნიშნე. მიმღები კომისია შრომების რეგისტრაციას ვერ აუდიოდა. თავი მხრებში ჩაერგოთ, ოფლში იწურებოდნენ. საწყობები ვერ იტევდნენ ნაშრომებს. ქუჩებში კი რეკლამები თვალისმომჭრელად მოუწოდებდნენ მოქალაქეებს: „ყველანი, ყველანი ასპირანტურაში“. „ერთ სულ მოსახლეზე სამი საკანდიდატო შრომა“.

სიზმრებისა, გულახდილად გითხრათ, არაფერი მჯერა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, და მეორე დილითვე მეც შევუდექი დისერტაციის წერას.

თ. კიკიანი.

ჩვენი საკვირაო აფიშა

◆

ტელევიზია

22 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის. „დღეს ჩვენთან ნაძვისხეა“. თოჯინების სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული აზრი“, 17.45 — გადაცემათა პროგრამა, 17.50 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.20 — საქართველოს [illegible] ტელევიზიის პროგრამა: 1. „[illegible] სახელოსნო“, 2. „პალიტრა“ — დოკუმენტური ფილმი „ორი მუზეუმი“, 19.05 — გადაცემა „ახალგაზრდა მკვლევარი“, 19.15 — კინონარკვევი, 19.25 — გადაცემა „ინდუსტრიული საქართველო“, 19.30 — კინონარკვევი, 20.00 — „მშობელთა უნივერსიტეტი“, 20.20 — სატელევიზიო პიესების კონკურსის შედეგები, 20.45 — გადაცემა „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — მიხეილ შავიშვილი, 21.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — მხატვრული ფილმი „სრული სვლით წინ“.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 საათიდან.

□

თეატრები

22 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ყვავილთა სამყაროში (დღისით), ბაიადერა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — [illegible] (დღისით), ანტიგონა (15 დეკემბრის საღამოსათვის შეძენილი ბილეთები ძალაშია 22 დეკემბერს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება (დღისით), ყარამან ყანთელაძე (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბაჯანას ქოშები (დღისით), ჩემი მშვენიერი ლედი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ნუ გეჩქარებათ სიცილი“ (№ 13 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), ტარისპანის გასაჭირი, უბედურება (№ 8 აბონ. საღ. 6 ს.), **თოჯინების ქართული** — წითელი ეშმაკუნები (დღის 12 საათზე), **რუსთავის სახელმწიფო დრამატული** — მე მჯერა შენი (დღის 12 ს. მე-8 აბონ. მე-4 წარმ., დღის 2 ს. მე-9 აბონ. მე-4 წარმოდ.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, ხამდივნოხ — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04366 საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.